ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 ივნისი, 2023 №127 (9163) ფასი: 80 თეთრი

შსს: ნარკოდანაშაულის ბრალდებით 52 პირია დაკავებული, მათ შორის 37 ნარკორეალიზატორი

გვ.5

„საქართველო საერთაშორისო სკანდალს ასცდა“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „შალვა პაპუაშვილი სანამ ბოდიშს ოპოზიციას მოსთხოვს, ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და დახვეწოს თავის განცხადებები...“

გვ.2

„სამოქალაქო დაპირისპირება უკვე სახეზეა“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „მე თუ მკითხავთ, დასანქცირებულია ბიძინა ივანიშვილი და შემთხვევით არ ხდება, რომ „სვის კაპიტალი“ არ უბრუნებს მას თანხას. ჩვენ ასევე დავსანქცირდით 2022 წელს, როდესაც საქართველოს არ მიეცა კანდიდატის სტატუსი“

„საქართველო უპატრონოდ დარჩა. „ოცნებას“ სხვაგვარად რომ ემუშავა, შეიძლება, საქმე ასე არ ყოფილიყო“

გვ.3



პეტრე მამრაძე: „ნაცები უცხოელებს ცილისმწამებლურ, ყალბ ინფორმაციას აწვდიან“

ბჟანიას წინაალმდეგ რეფერენდუმი მზადდება

გვ.4

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია აფხაზეთის ობიექტების გასხვისებაა

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთის არმია სრულიად შერცხვენილია“

გვ.2

ალეკო ელისაშვილი: „ზახაროვა დღე და ღამე მთვრალია, „ლოთ-ბაზარა“ ქალია, დაბჟუტურობს რაღაცას“

4 18 მდუმარე დეპუტატი და მივლინებებზე დახარჯული 1.739.782.93 ლარი

5 45 წლის ქალმა დედას ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა

7 დღეს სუპერთასი იწყება

6 საიდუმლო შეკრება კოპენჰაგენში

1993230720223

„სამოქალაქო დაპირისპირება უკვე სახეზეა“

ნიკა ჩიტაძე: „მე თუ მკითხავთ, დასანქცირებულია ბიძინა ივანიშვილი და შემთხვევით არ ხდება, რომ „სვის კაპიტალი“ არ უბრუნებს მას თანხას. ჩვენ ასევე დავსანქცირდით 2022 წელს, როდესაც საქართველოს არ მიეცა კანდიდატის სტატუსი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ნიკა ჩიტაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკა, რას იტყვით ბოლო პერიოდში განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ? ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს არის მიზანმიმართულად შექმნილი ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს თავს ესხმიან. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად არის ეს ჯგუფები წახალისებული ხელისუფლების მიერ?

– სამწუხაროდ, ხელისუფლება აგრძელებს ე.წ. სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას. რა თქმა უნდა, რუსეთის სახელმწიფო ტერორიზმის ფონზე, ეს უფრო რბილი ფორმაა, მაგრამ ეს არის ტერორიზმის ერთ-ერთი ფორმა. ტერორი ნიშნავს დაშინებას, აუცილებელი არ არის, რომ ცათამბჯენი ააფეთქო, რომ ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მიეცეს. სახელმწიფო ახორციელებს დაშინების პოლიტიკას, ხდება ზეწოლა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე. იყენებენ საბაბად ეკლესიას, პატრიარქს და ა.შ.

– ანუ ძალადობენ ეკლესიის და პატრიარქის სახელით?

– კი, ასე იქცევიან, მაგრამ ამ დამნაშავე ჯგუფებს საერთოდ რა კავშირი აქვთ რელიგიასთან, მართლმადიდებლობასა და ქრისტიანულ ღირებულებებთან?! ერეკლე მეფე პატრიოტი იყოო და ამ საბაბით თავს ესხმიან ლევან ბერძენიშვილს. ასეთ ადამიანს რომ ჰკითხო, როდის მოხდა კრწანისის ბრძოლა და ასპინძის ბრძოლა, მათი უმრავლესობა ვერც გიპასუხებთ. ისიც კი არ იციან, რომელ საუკუნეში მეფობდა ერეკლე მეფე და ვითომ მის დამცველებად გვევლინებიან. ეს პროცესი, რაც ახლა ხდება, დღეს არ დაწყებულა, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, სულ ასეთი ძალადობრივი ჯგუფების წახალისება ხდებოდა.

– თუმცა ამ ყველაფერმა ბოლო პერიოდში მასშტაბური სახე მიიღო.

– რაც „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში, ასეთი მაგალითები ძალიან ბევრი იყო. თუნდაც 2013 წელს, 53 გამგეობაში მოხდა შეჭრა. მათ დაარბიეს გამგეობები და ეს წახალისებული იყო სწორედ ხელისუფლების მხრიდან. ასევე, 2013 წლის 17 მაისის მოვლენები გვახსოვს კარგად. 2015 წელს, 19 თავდასხმა მოხდა ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე. ყველას გახსოვთ კორცხელის ინციდენტი და რომელი ერთი გავიხსენო.

– თუკი დაგვიძახებთ რუსეთუმეებს, აუცილებლად მიიღებთ პასუხსო. სიტყვით ვერ უმკლავდებიან და მუშტზე გადავიდნენ?

– დიდი ხანია გადასულები არიან. ამას აკეთებენ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან.

– რა შედეგს მოიტანს ეს ყველაფერი? სადამდე მივალთ საბოლოოდ? ხომ არ მივალთ სამოქალაქო დაპირისპირებამდე?

– სამოქალაქო დაპირისპირება უკვე სახეზეა. ამ პროცესებით ქვეყანა სერიოზულად ზარალდება. როგორც ნიცშე იტყოდა, საზოგადოება იყოფა ადამიანებად და ადამიანთან ჯერ კიდევ არ მისულ არსებებად. აი ეს არსებები, რომლებსაც არანაირი განათლება არ გააჩნიათ, უცებ ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, არიან მოკრიმინალო ელემენტები და დღეს თვითდამკვიდრების გზას ეწევიან. დღეს ამ არარაობებს ეძლევათ საშუალება, რომ საზოგადოება დააშანტაჟონ და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე იძალადონ. მიმდინარეობს მოკრიმინალო ელემენტების წახალისება, ხდება ერის დეგრადაცია! მიდის პატრიოტების მტრად წარმოჩენა და მტრის და მოღალატის კიდევ პატრიოტად. ზუსტად ის, რაც ხდებოდა კომუნისტების პერიოდში.

– სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

– მიყვანილია უკვე და ეგ არის. ერის დეგრადაცია და სულიერი გახრწნა ხდება. ეს არის მმართველობის ყველაზე მახინჯი ფორმა და ეს ნიშნავს ბრბოს მმართველობას. ბრბოს აძლევენ საშუალებას, რომ იძალადონ სხვებზე.

– რა არის მიზანი? რას ემსახურება ხელისუფლების ასეთი ქმედებები, ძალაუფლების შენარჩუნებას? თუ რუსეთის ინტერესია, რომ აქ იყოს ქაოსი და სამოქალაქო დაპირისპირება?

– საქმე ისაა, რომ ამ სიტუაციაში „ქართული ოცნების“ და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. რუსეთის ინტერესია, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგეს და რუსეთს გაუადვილდეს თავისი გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური პოლიტიკის გამტკიცება. ხოლო „ქართული ოცნება“ თავისი ქმედებებით, ძალით თუ ძალაუნებურად, ასრულებს რუსეთის ხელისუფლების საქმეს. როდესაც ხდება დიდ ინტელექტუალებთან ბრძოლა, როგორიც არის ლევან ბერძენიშვილი, რომელიც დემოკრატიულად და ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანია, როდესაც ასეთ ადამიანებზე ხდება შეტევა და მისნაირები გამოჰყავთ როგორც მტრები, ხოლო თვითონ გმირებად გვევლინებიან, ამ დროს კი, ორი წიგნიც კი არ აქვთ წაკითხული. ასეთი ადამიანები უნდა შეგეცოდოს. როდესაც ასეთი ადამიანები საკმაოდ ბევრნი არიან, ეს უკვე ერის ტრაგედიაა. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის თავი და თავი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი პოლიტიკური კულტურაა. 2012 წელს რომ აირჩიეს „ქართული ოცნება“, ახლა ამის შედეგს ვიმკით. ხმა მისცეს იმ ადამიანს, რომელიც იძახდა, რომ საქართველომ ომი დაიწყო. როდესაც ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ჩემთვის ბიძინა ივანიშვილი იქ დამთავრდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ვიღაცამ ფული არჩია. ვერც ფული ვერ მიიღო და მიიღო სიძულვილი.

„ერეკლე მეფე პატრიოტი იყოო და ამ საბაბით თავს ესხმიან ლევან ბერძენიშვილს. ასეთ ადამიანს რომ ჰკითხო, როდის მოხდა კრწანისისა და ასპინძის ბრძოლა, მათი უმრავლესობა ვერც გიპასუხებთ. ისიც კი არ იციან, რომელ საუკუნეში მეფობდა ერეკლე მეფე და ვითომ მის დამცველებად გვევლინებიან.“

– რამდენად სერიოზულად გვაქვს დასანქცირების საფრთხე? ველოდებით კანდიდატის სტატუსს, ამ დროს შიგნით ასეთი ქაოსი გვაქვს. გვექნება თუ არა კანდიდატის სტატუსი და მივიღებთ თუ არა სანქციებს?

– სანქციებს რაც შეეხება, უშუალოდ საქართველო არ მიიღებს სანქციებს. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი პატივს სცემს ქართველი ხალხის მისწრაფებას. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტს, სურს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება. ის სანქციები, რაც ევროკავშირმა რუსეთის და ბელორუსის წინააღმდეგ შემოიღო, ცხადია, ამ ტიპის ჩვენ წინააღმდეგ არ იქნება, თუმცა დასანქცირდებიან მაღალჩინოსნები და ეს სანქციები უკვე დაწყებულია. მოსამართლეები დასანქცირდნენ. მე თუ მკითხავთ, დასანქცირებულია ბიძინა ივანიშვილი და შემთხვევით არ ხდება, რომ „სვის კაპიტალი“ არ უბრუნებს მას თანხას. ჩვენ ასევე დავსანქცირდით 2022 წელს, როდესაც საქართველოს არ მიეცა კანდიდატის სტატუსი, განსხვავებით მოლდოვისა და უკრაინისგან.

– ახლა რა იქნება?

– მე ვფიქრობ, რომ კიდევ გადადებენ საკითხის განხილვას. როგორც რამდენიმე თვის წინ ქნეს. ალბათ დაელოდებიან 2024 წლის არჩევნებს. ეს იქნება წინაპირობა, როგორ ჩავატარებთ არჩევნებს. ოპტიმისტურ ვარიანტში კი, შესაძლოა, ხალხის მხარდაჭერის და მათი მისწრაფებების გათვალისწინებით, სტატუსი მოგვცენ. მისცენ ხალხს და არა ხელისუფლებას. ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კონსენსუსის საფუძველზე 27-ვე ქვეყანამ.

სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთის არმია სრულიად შერცხვენილია“

– ყველაფერმა, რის გაკეთებასაც პუტინი ეცადა, ან არ იმუშავა, ან სრულიად მოულოდნელი რეაქციები გამოიწვია – გაერთიანებული ევროპა, გაერთიანებული და უფრო ძლიერი ნატო, ევროკავშირი, რომელიც კვლავ გაფართოებაზე საუბრობს, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა CNN-თან ინტერვიუში განაცხადა.

მან ისაუბრა რუსეთში განვითარებულ მოვლენებზე და „ვაგნერის“ ხელმძღვანელის ევგენი პრიგოჟინის მიერ აჯანყების მცდელობაზე და მას მსოფლიოსთვის მოულოდნელობა უწოდა.

ასევე, ზურაბიშვილის თქმით, მოულოდნელობა იყოს იმის ნახვა, რომ აჯანყება დაწყებიდან ასე სწრაფად დამთავრდა პირდაპირი წინააღმდეგობის გარეშე, რაც „ჩვეულებრივი რუსული ტრადიციაა“.

– ჩემთვის და, ვფიქრობ, თითქმის მთელი მსოფლიოსთვის სრული მოულოდნელობა იყო ასეთი ფორმით აჯანყების ნახვა პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ამ მომენტისთვის ნამდვილად დასუსტდა (უკრაინის წინააღმდეგ ომით).

რული მოულოდნელობა იყო იმის ნახვა, თუ როგორ მარტივად შეუძლია ვინმეს, საზღვარი გადაკვეთოს და ჯერ როსტოვში შევიდეს და მოსკოვთან ახლოს სხვა ქალაქებში. მოულოდნელობა იყოს იმის ნახვა, რომ ეს აჯანყება დაწყებიდან ასე სწრაფად დამთავრდა პირდაპირი წინააღმდეგობის გარეშე, რომელიც ჩვეულებრივი რუსული ტრადიციაა.

უცნაურია, რომ თუნდაც პრიგოჟინს შეუძლია პუტინს ენდოს, როდესაც იგი უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს, რომლებიც არასდროს არ არსებობდა რუსეთის ისტორიაში. როდესაც შენ აჯანყებული ხარ ან თუნდაც ომის ტყვე – ეს არასდროს გეპატიება (რუსეთში).

ეს ახლა რუსეთში ხდება და როგორ შეგიძლია, თუნდაც ლუკაშენკოს ენდო, როდესაც იგი თავად ძლივს იცავს იმ ნაწილობრივ დამოუკიდებლობასაც, რუსეთის მზარდი მოთხოვნების პირობებში. ეს ყველაფერი ჩვეულებრივ რუსულ ტრადიციას არ ჰგავს. ვფიქრობ, ახალ ფაზაში ვართ, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან არის, როდესაც რუსეთი ხედავს, რომ ყველა მისი დიდი გეგმა ერომანეთის მიყოლებით დამარცხდა. ეს საბოლოო სამხედრო მარცხი ჯერ არ არის, მაგრამ ყველაფერმა, რის გაკეთებასაც პუტინი ეცადა, ან არ იმუშავა, ან სრულიად მოულოდნელი რეაქციები გამოიწვია – გაერთიანებული ევროპა, გაერთიანებული და უფრო ძლიერი ნატო, ევროკავშირი, რომელიც კვლავ გაფართოებაზე საუბრობს, რომელიც ისეთ თემას ჰგავდა, რომელთან შეხებაც არავის არ უნდოდა.

ასე რომ, პუტინისთვის ყველა ნეგატიური შედეგი, წარუმატებლობა მობილიზაციაში, პრიგოჟინის „ვაგნერი“, რომელიც ამ თეატრის ბოლო აქტს შეადგენს, რუსეთის არმია სრულიად შერცხვენილია. ეს რუსული ტრადიციული არმია, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ არმიად განიხილებოდა, ახლა დონეცკში პრიგოჟინის იმედზეა, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ალეკო ელისაშვილი: „ზახაროვა დღე და ღამე მთვრალია, „ლოთ-ბაზარა“ ქალია, დაბჟუტურობს რაღაცას“

– ზახაროვა დღე და ღამე მთვრალია, „ლოთ-ბაზარა“ ქალია, დაბჟუტურობს რაღაცას. მე არ მინდა დავიჯერო, რომ ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან რაღაც კულუარულ მოლაპარაკებებს მართავს, ეს იქნება ღალატი, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან „მოქალაქეების“ დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მას სურს, ხვალ ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრს დაუსვას კითხვა, როცა პარლამენტში მოუსმენენ.

– ფრენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და რკინიგზის ხომ, მით უფრო, ფრენების და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ერთი და იგივე სიბრტყე არ არის. ეს არის ერთ-ერთი კითხვა, რასაც დავუსვამ ღარიბაშვილს და თუ მოვახერხე, ფორმატს გააჩნია, მინდა ეს ვკითხო. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აფხაზეთის გავლით, ამ ვითარებაში, რკინიგზის აღდგენა. აქ ყველაზე პრინციპული საკითხია, სად იქნება საბაჟო და სასაზღვრო პუნქტი – ენგურზე თუ ფსოუზე. ჩვენ თუ ამას გავაკეთებთ ენგურზე, ეს ნიშნავს, გვიღიარებია აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამ ვითარებაში საერთოდ არაფერი იქნებოდა მისაღები.

ერთადერთ შემთხვევაში იქნებოდა რკინიგზის გახსნა მეტ-ნაკლებად მისაღები, თუ ქართული დროშა იქნებოდა ფსოუზე, თუ ფსოუზე იქნებოდა ქართული საბაჟო და სასაზღვრო პუნქტი. სხვა შემთხვევაში ეს იქნება მართლა ღალატი ქართული სახელმწიფოს ინტერესების. მარია ზახაროვა რომ დღე და ღამე მთვრალია და ერთი ლოთი ქალია, „ლოთ ბაზარა“, დაბჟუტურობს რაღაცას და მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს მართლა ხდება და ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩვენი ხელისუფლება რაღაც კულუარულ მოლაპარაკებებს მართავს, – განაცხადა ელისაშვილმა.

ინფორმაციისთვის, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, მარია ზახაროვას განცხადებით, რუსეთი აფხაზეთის გავლით სომხეთის რესპუბლიკაში მიმავალი რკინიგზის გახსნისთვის ძალისხმევას არ დაიშურებს.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველო საერთაშორისო სკანდალს ასცდა“

ვახტანგ ძაბირაძე: „შალვა პაპუაშვილი სანამ ბოდიშს ოპოზიციას მოსთხოვს, ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და დახვეწოს თავის განცხადებები...“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, პარლამენტის თავმჯდომარემ, ორ ბოდიშს ვითხოვთო. პაპუაშვილი ერთ ბოდიშს სანქციების გვერდის ავლასთან დაკავშირებით სიყალბის გავრცელებაში ითხოვს. როგორ ფიქრობთ, სანქციების საკითხზე ერთობლივი საერთაშორისო ჯგუფის დადებითი დასკვნა, სტატუსის საკითხში წაგვადგება?

– დიახ, ნამდვილად წაგვადგება. საქართველო საერთაშორისო სკანდალს ასცდა. ამერიკის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი ჯგუფის დასკვნა, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყველა მიმართულებით. მათ თქვეს, რომ საქართველო დადებულ პირობას ასრულებს.

საქართველოს ხელისუფლების პოზიცია საერთაშორისო სანქციების შეერთების საკითხზე, ყველამ იცის. ეს პოზიცია უკვე, ასე თუ ისე, როგორც ჩანს, გასაგებია. თავის დროზე მთელი დასავლეთი, მათ შორის ქვეყნის შიგნით, იყვნენ ადამიანები, ვინც ვთვლიდით, რომ საქართველო ამ სანქციებს უნდა შეერთებოდა და ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც ადგილზე იმყოფებოდა ეს ჯგუფი, მათი დასკვნის შემდეგ, შეგვიძლია, ბევრად უფრო მშვიდად ვიყოთ.

თუ ეს ჯგუფი უარყოფით დასკვნას დადებდა, დადებდა სანქციების გვერდის ავლის ფაქტებს, ერთ ფაქტსაც კი, დამერწმუნეთ, ეს კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. მაშინ ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა ყველანაირ სტატუსა და ევროკავშირისკენ გახედვაზე ფიქროც კი. მათი უარყოფითი დასკვნა ნამდვილად იქნებოდა საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი. ამიტომ ვამბობ, რომ ახლა მშვიდად ყოფნის საფუძველი გვაქვს.

შალვა პაპუაშვილი სანამ ბოდიშს ოპოზიციას მოსთხოვს, საერთაშორისო პარტნიორების განცხადებები გაიხსენოს. მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვა ხელისუფლების ნაბიჯებზე, მათ განცხადებებზე. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და დახვეწოს თავის განცხადებები, ნაბიჯები, რომ ასეთი ეჭვის წარმოქმნას ხელი არ შეუწყონ. ამაზე სერიოზულად უნდა იფიქრონ. რეალურად არსებობდა ეჭვი, რომ ხელისუფლება სანქციების გვერდის ავლით ცდილობდა მოქმედებას. ამიტომ, ძალიან კარგია, რომ ეს საერთაშორისო ჯგუფი ჩამოვიდა და ადგილზე დეტალურად შეისწავლა ყველაფერი. მაგრამ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, იმოქმედოს ისე, რომ მსგავსი ეჭვები არავის არ გაუჩნდეს. სიმართლე გითხრათ, მეც ცოტა შეშინებული ვიყავი, თუ რა დასკვნას დადებდა ეს ჯგუფი, რადგან ხომ უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირზეა მიბმული ამ ქვეყნის მომავალი და არა რუსეთზე.

რაც შეეხება უკვე სტატუსის მონიჭება – არ მონიჭების საკითხს, პასუხი წლის ბოლოს იქნება. წლის ბოლომდე კიდევ ერთი შუალედური დასკვნა იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ახლა ვიცით, რომ მხოლოდ სამი პუნქტია 12 პუნქტიდან შესრულებული. ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, დაგვეხმარება და იმ 12 პუნქტიდან ერთ-ერთი ნამდვილად არის.

რაც შეეხება რუსეთთან ფრენების აღდგენას, ამ საკითხზე საერთაშორისო ჯგუფმა თავისი პოზიცია ღიად დააფიქსირა. მათ გვითხრეს, რაშიც ხედავდნენ საფრთხეს. შემოსასვლელების გამრავლება კონტროლის გაზრდას მოითხოვს და ეს ბევრად უფრო რთული იქნებაო. ყველაფერი გასაგებია. ახლა უკვე აზრი აღარ აქვს არც იმ მოწოდებას, რომ სანქციებს შეუერთდეს ხელისუფლება და არც რუსეთთან აღდგენილი ფრენები შეაჩეროს. ეს საკითხი, ასე თუ ისე, გავიარეთ.

– რაც შეეხება მარია ზახაროვას განცხადებას, რომელიც რუსეთის საგარეო უწყებას წარმოადგენს. მისი თქმით, რუსეთ-აფხაზეთის გავლით სომხეთში მიმავალი რკინიგზის გახსნაზე ძალისხმევას არ დაიშურებენ.

– არა, ეს იქნება კატასტროფა არა მხოლოდ ამ ხელისუფლებისთვის, მთლიანად ქვეყნისთვის. ეს იქნება პირდაპირ ქართული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან.

– პაპუაშვილმა განაცხადა, რუსეთის ამ პოზიციაში არაფერია სიახლე და არც საქართველოს პოზიციაშია სიახლე – ეს საკითხი არ განიხილება.

– აფხაზეთი რუსეთმა აღიარა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. თუ რუსეთი უკან წაიღებს აღიარებას და ამის შესახებ ღიად იტყვის დანარჩენი მსოფლიოს გასაგონად, მაშინ შეიძლება ქართული დიპლომატია რაღაცნაირად ჩაერთოს პროცესში და რაღაც დონის მოლაპარაკებები დაიწყოს. ისე, როგორ წარმოუდგენია ვინმეს, რომ რამე ტვირთებსა და რკინიგზის გახსნაზე იყოს საუბარი?! მაშინ გამოდის, ქართული ხელისუფლება აფხაზეთს აღიარებს?! ეს ხომ კოშმარია, ეს ხომ კატასტროფა იქნება. არა, ეს გამორიცხულია! მე გამოვრიცხავ, ხელისუფლება რამე დონეზე ფიქრობდეს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაზე. ეს ნამდვილად იქნება რუსული საქმე და არაფერი მას საერთო არ ექნება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებთან. არა მგონია, ამაზე წავიდნენ.

„საქართველო უპატრონოდ დარჩა. „ოცნებას“ სხვაგვარად რომ ემუშავა, შეიძლება, საქმე ასე არ ყოფილიყო“



პეტრე მამრაძე: „ნაცები უცხოელებს ცილისმწამებლურ, ყალბ ინფორმაციას აწვდიან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, ნაცები აცხადებენ, რომ საქართველო რუსეთს სანქციებისთვის გვერდის ავლაში ეხმარება. რუსეთის მიმართ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებზე მომუშავე ჯგუფი (რომელშიც ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წარმომადგენლები შედიან) საქართველოში ჩამოვიდა და ხელისუფლებასთან ამ საკითხს არკვევდა. სანქციებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას მადლობა გადაუხადეს სანქციებთან დაკავშირებით კარგი მუშაობისთვის. „ოცნება“ ამბობს, საქართველოს ტერიტორიას სანქციების გვერდის ავლისთვის ვერავინ გამოიყენებსო. რეალურად სიმართლე სად არის?

– სიმართლეს მე გეტყვით. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ „ოცნების“ ხელისუფლებისა და მთავრობის მხრიდან შეგნებულად არავინ წავა იმაზე, რომ სანქციები დაარღვიოს და რუსეთში ტრანზიტით რამე შევიდეს. ამაზე შეგნებულად არავინ წავა.

გარანტიის მიცემა არავის შეუძლია (არც ერთ ქვეყანას), რომ მთავრობის გვერდის ავლით, ვინმე რაღაცის გაკეთებას არ ეცდება.

იმის გამორიცხვა, რომ რაღაც ერთხელ, ან ორჯერ მომხდარა, ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ ის, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, სანქციები არ დაირღვევს, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რადგან არ უღირთ. წარმოიდგინეთ, რამხელა სკანდალი იქნება, მართლა რომ აღმოჩნდეს, მთავრობის ხელშეწყობით რაღაცები ხდებოდა.

ნაცები კი უცხოელ პარტნიორებთან, ლობისტებთან მუდმივად მუშაობენ, ეუბნებიან, იცოდეთ, ჩვენ ნამდვილად ვიცით, საბაჟოს თანამშრომლები გვეუბნებიან, ჩვენ დროს დანიშნული ადამიანები გაოგნებული არიან, რომ ასეთი რაღაც ხდება. ნამდვილად ვიცითო, უცხოელებს ასეთი ტექსტებით ელაპარაკებიან.

– იცით, რომ ნაცები ასეთ ინფორმაციას უცხოელებს აწვდიან?

– ნაცები უცხოელებს ცილისმწამებლურ, ყალბ ინფორმაციას აწვდიან. საელჩოებთან და სხვა სტრუქტურებთან მუშაობენ, ანუ იმაზე არ ფიქრობენ, რომ საქართველოსთვის ძალიან ცუდია, ისევ საქართველოს აზიანებენ, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, ამას ვიტყვი.

საკაკაშვილი რომ იყოს ხელისუფლებაში და ვილაც ოპონენტი ამას აკეთებდეს, მაშინაც ამას ვიტყოდი. ამ შემთხვევაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დაზიანებაზეა ლაპარაკი.

რამდენიმე დღის წინ მთავრობამ, როგორც იქნა, გამოაქვეყნა საქართველოს რეიტინგი მსოფლიოში გამჭვირვალობის, მთავრობის ე.წ. პასუხისმგებლობის კუთხით. პარამეტრები იმდენად მაღალია, საქართველო უსწრებს ევროგაერთიანების 15 ქვეყანას (ევროგაერთიანებაში სულ 27 ქვეყანაა. ე.ი. ნახევარზე მეტს უსწრებს), დიდი შვიდეულიდან კი 4 ქვეყანას.

ამ რეიტინგებში ამაოდ ვეძებე უკრაინა და მოლდოვა. საქართველო მსოფლიოში მე-17 ადგილზეა. ერთ-ერთი პარამეტრით 32-ე ადგილზეა. ესეც მაღალი მაჩვენებელია და ევროკავშირის ქვეყნებს უსწრებს.

უკრაინა სადღაც 93-ე ადგილზეა. მოლდოვა იმის იქითაა, მაგრამ კანდიდატის სტატუსი ჩვენ შეიძლება მაინც არ მოგვცენ, იმათ უკვე მისცეს. ანუ ყბადაღებული ორმაგი სტანდარტი მოქმედებს.

– ამაში თავის როლს ანტირეკლამა თამაშობს?

– არა მარტო ანტირეკლამა, არამედ დასავლეთში გარკვეული გავლენიანი პირები ასე განეწყვნენ: საკაკაშვილის მოყვანილი რუსული ტანკები დედაქალაქიდან 30 კილომეტრში დგას, ცხინვალსა და აფხაზეთში რუსული ბაზებია, ამათ კანდიდატის სტატუსი როგორ უნდა მივცეთო. ეს მომენტიც არის და გეოპოლიტიკური მომენტიც.

– რუსული ბაზა მოლდოვაშიც არის, დნესტრისპირეთში, ხოლო უკრაინა, საერთოდ, რუსეთთან ომის ქარცეცხლშია. ჯერჯერობით, ოკუპირებული ტერიტორიებიც აქვს.

– ჰო, მაგრამ უკრაინა გარშემორტყმულია ნატოს ქვეყნებით, რომლებიც ახლა ინტენსიურად იარაღს აწვდიან. მოლდოვა უშუალოდ რუმინეთმა აიყვანა თავის პარტნიორობა-ზედამხედველობაში. რუმინეთი ნატოს წევრი, აქტიური ქვეყანაა, თან ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, რომელიც შეიარაღებულია შორი მანძილის რაკეტებით. რამე რომ იყოს, ყირიმსაც ფარავს და ყირიმზე მეტსაც. მოლდოვა და რუმინეთი მთავრობების ერთობლივ სხდომებს ატარებენ.

– ანუ ამბობთ, ჩვენ პატრონი არ გვყავს და კანდიდატის სტატუსი ამიტომ არ მოგვცეს?

– ზუსტად. ამ მხრივ, საქართველო უპატრონოდ დარჩა. სხვა დროს „ოცნებას“ სხვაგვარად რომ ემუშავა, შეიძლება, საქმე ასე არ ყოფილიყო. განწყობა ასეთია: ჩვენ ყოველთვის რაღაცას მოგვიძებნიან, კი მაგრამ, ეს ასე რატომ არის?

უკრაინაში ამ დღეებში სკანდალი გასკდა – ქვეყნიდან 9 მილიარდი დოლარის იარაღი გასული, რომლითაც დაეხმარნენ. ის იარაღი გამქრალია – გაიტანეს და გაყიდეს.

– სხვათა შორის, რუსეთის მხარეს აღმოჩნდა დასავლური იარაღი, გამორიცხავთ, რომ უკრაინიდან იყოს გასული?

– ვერავინ გამორიცხავს, ისეთი გზებია. დასავლეთი რუსულ ნავთობს არ ყიდულობს (უცხოურ პრესაში წავიკითხე), მაგრამ ამ დროს შავ ზღვაში და სხვაგან, ტანკერიდან ტანკერში ნავთობის გადატვირთვა ხდება. მერე ის ტანკერი სადღაც მიდის და ბოლოს ეს ნავთობი დასავლეთში ჩადის. იაფია და უხარიათ.

თავისუფალი ბიზნესი ისეთი რაღაც არის, მთავრობებს ძალიანაც რომ უნდოდეთ, მაინც ძალიან ძნელი გასაჩერებელია. ამას წინათ ღარიბაშვილმა ძალიან კარგად თქვა, ჩვენგან წარმოუდგენელ რაღაცებს ითხოვენ. თვითონ ევროკავშირი დღესაც კი, 4 დღეში რუსეთთან იმდენს ვაჭრობს, რამდენსაც საქართველო წელიწადში ვერ ვაჭრობს.

– ხელისუფლება ამბობს, რამდენიმე ათეული ფაქტი, რუსეთისკენ სანქცირებული ტვირთების გადატანის მცდელობაა აღკვეთილიო. ახლა სანქციებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენლებმა ამ მხრივ კარგი მუშაობისთვის მთავრობას მადლობა გადაუხადეს. ლობიზმის მესმის, მაგრამ ნაცების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლება რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება, ტყუილი რომ აღმოჩნდა, რა ხელს აძლევთ ნაცებს ასეთი ტყუილების ლაპარაკი?

– აქამდე ხელს ხომ აძლევდა. მაგალითად, ავიღოთ საკაკაშვილის, მისი ლობისტებისა და მისი თანამზრახველების მოწყობილი საინფორმაციო ომი და სიმულაცია ავადმყოფობასა და შიმშილობაზე, დღეს მე შეიძლება მოვკვდეო. გახსოვთ, საკაკაშვილი რომ ამბობდა?

ბოლო ღამეა და შეიძლება ვეღარ გავიღვიძოო. „ვოშინგტონ პოსტში“, „ნიუ იორკ ტაიმსში“, სი ენ ენ-ის ეკრანებზე და სხვაგან უწყვეტ ნაკადად მიმდინარეობდა ინფორმაციები, რომ საკაკაშვილს ნავალნიზე უარესად, სვენებ-სვენებით კლავენ. ერთ დღეში რომ მოკლან, არ უნდათ, უნდათ თვითონ მოკვდესო. ნავალნის პუტინის რეჟიმი სვენებ-სვენებით დილეგში კლავს, მაგრამ აგერ საკაკაშვილი ნავალნიზე უარეს პირობებშიაო.

ბოლოს და ბოლოს, სტრასბურის განჩინებამ და „ლიმბახის“ დასკვნამ (რაც მნიშვნელოვანი იყო. მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმაა) ანალიზით დაადასტურა, რომ არავითარი მძიმე მეტალები საკაკაშვილის ორგანიზმში არ აღმოჩნდა.

მაქვს ინფორმაცია, კომპეტენტური ადამიანებისაგან ვიცი, ჯერ სტრასბურიდან პასუხი მოსული არ იყო, როცა საკაკაშვილმა კლინიკაში დედამისს ისტერიკა მოუწყო.

ცოტა ხნის წინ, დავინტერესდი და მითხრეს, 7 კილოგრამი აქვს მომატებულიო. მას შემდეგ, 2-3 კვირა გავიდა და, ალბათ, 3 კილო კიდევ მიუმატა. მანამდე გიული ყოველდღე საჭმლით დადიოდა, მაგრამ იქ საკაკაშვილს თავისი სასწორი ჰქონდა და წონას აკონტროლებდა.

– ანუ ეს რისი მაგალითია?

– ეს მაგალითია იმისა, ამათმა ლობისტურმა კამპანიამ რომ იმუშავა. წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა იმას, საკაკაშვილს სიმულაცია შეეწყვიტა.

საკაკაშვილს სიმულაცია რომ განეგრძო, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს შლეიფი მაინც იქნებოდა.

– თქვენ პრესის წარმომადგენლების ლობისტურ წერილებსა და სიუჟეტზე მიუთითეთ, მაგრამ ევროპარლამენტის რეზოლუციებიც ხომ იყო.

– დიახ და ერთმა დეპუტატმაც კი, ბოდიში არ მოიხადა. ელემენტარულად, პატიოსანი ადამიანი თუ ხარ, სტრასბურის სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, უნდა თქვა, სამწუხაროდ, შეცდომაში შეყვანილი ვიყავი. ვენდე ინფორმაციას, რომელსაც ვერ შევამოწმებდიო.

მე მქონდა შემთხვევები, როცა ფრაქციაში ვიყავი და ხმას ვაძლევდი, რადგან ფრაქციის წევრი გამოდის და ამბობს: ეს ასეა და ყველანი ვაძლევთ ხმასო. ყველაფერი იმ დღეს ხდება, მიდი, გაიქეცი და შეამოწმე. ვერ მოას-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბჟანიას წინააღმდეგ რეფერენდუმი მზადდება

ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია აფხაზეთის ობიექტების გასხვისებაა

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში საზოგადოება (მათ შორის, პოლიტიკოსები) კატეგორიულად ეწინააღმდეგება ხალხის ქონების გასხვისებას. საუბარია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ზოგიერთი ობიექტის (მიმდებარე ნაკვეთებით) გადაცემაზე უცხო სახელმწიფოსთვის (რუსეთისთვის) და კერძო ინვესტორებისთვის (ინვესტორებიც რუსეთის მოქალაქეები არიან) დათმობაზე. ამ მიზნით მზადდება კანონმდებლობაც.

ამის გამო აფხაზეთის საზოგადოება დე ფაქტო პრეზიდენტს, ასლან ბჟანიასა და დე ფაქტო პრემიერ ალექსანდრე ანქვაბს ადანაშაულებს.

ბჟანია-ანქვაბის წინააღმდეგ იყო გამოსვლები. ყველაზე ხმაურიანია პროტესტები ბიჭვინთის ე. წ. სახელმწიფო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის წინააღმდეგ. ოკუპანტი რუსეთის ფედერაცია ამ აგარაკს რუსეთის საკუთრებად მიიჩნევს.

ბჟანიას მოწინააღმდეგეები რეფერენდუმს ამზადებენ

აფხაზეთის ვეტერანთა და მოქალაქეთა კავშირმა „აიაარამ“ აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი ხერხი აამოქმედა – რეფერენდუმი. „აიაარამ“ მიმართა აფხაზეთის ცესკოს, დაარეგისტრიროს საინიციატივო ჯგუფი რეფერენდუმის მოსაწყობად. რეფერენდუმი ეხება უნდობლობას ხელისუფლების მიმართ.

საინიციატივო ჯგუფის დარეგისტრირების შემდეგ შეგროვდება ხელმოწერები რეფერენდუმის მოთხოვნით. დამოწმების შემდეგ ხელმოწერები ე. წ. პრეზიდენტს გადაეცემა.

მომავალი რეფერენდუმის შეკითხვა ასეთია: „მიიჩნევთ თუ არა აუცილებლად აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების გამართვას?“

„აიაარა“ აცხადებს:

– ჩვენ არ შივცემთ ამ ხელისუფლებას ისეთი პროექტების რეალიზაციის უფლებას, როგორიცაა ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის გადაცემა, „აპარტამენტების შესახებ“ კანონის მიღება, ენერგეტიკული დარგის კერძო კომპანიისათვის მიყიდვა. მოქმედი ხელისუფლება უგულებელყოფს ხალხის აზრს.

შედგება თუ არა რეფერენდუმი, მივა თუ არა რეფერენდუმზე საკმარისი ხალხი, ეს ჯერ უცნობია. ექსპერტების თქმით, რეფერენდუმი არ არის პრეზიდენტის გადაყენების საფუძველი. უეჭველია ის, რომ აფხაზეთის საზოგადოება თავის დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ არ შეიცვლის.

მომავალ რეფერენდუმზე (თუ პლებისციტზე) „ეხო კავკაზა“ კომპეტენტურ პირებს ესაუბრა.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ასოციაცია ინვა-თანადგომის“ ხელმძღვანელი ალხას ტხაგუშევი:

– ხელისუფლებასაც კრიზისი აქვს და ოპოზიციასაც. პლებისციტი სავსებით ნორმალური მოვლენაა. ის, რომ ცესკოში განცხადება შეიტანა მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ, იმის ნიშანია, რომ ოპოზიციონერები ვერ შეთანხმდნენ, ან არც უცდიათ მოლაპარაკება ერთობლივ მოქმედებებზე.

– როგორია ამ რეფერენდუმის პერსპექტივები?

– ფორმალურად ის შეიძლება გაიმართოს. ჩვენ ასეთი რამ გვქონდა რაულ ხაჯიმბას დროს. მაშინდელი ოპოზიცია, რომელიც ახლა ხელისუფლებას წარმოადგენს, იმავეს აკეთებდა. იმ რეფერენდუმის შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა იმდროინდელი ოპოზიციისთვის. არა მგონია, რომ ახლა რაღაც უფრო შთამბეჭდავი მოხდეს, თუნდაც ხელისუფლება ამას არ შეეწინააღმდეგოს.

– ხელისუფლებას რისი იმედი აქვს?

– არ მესმის, რაზე ამყარებს იმედს ხელისუფლება. დავუშვათ, მათ მიიღეს კანონი „აპარტამენტების შესახებ“. აფხაზეთის საზოგადოება ამ პროექტის მიმართ მკაცრია. ბევრი ადამიანი ლაპარაკობს ღალატზე. წარმოვიდგინოთ, რომ ხელისუფლებამ ამ კანონს ხელი მოაწერა, მოვიდნენ ინვესტორები. ამას ხომ დიდი წინააღმდეგობა მოჰყვება? ინვესტორები შეეჯახებიან აფხაზეთის მოქალაქეებს.

ჩვენ ეს უკვე გავიარეთ – თაღლითურად, მალულად მოხდა შეთანხმება სანავთობო კომპანია „აფსნი ოილთან“. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილია, მაგრამ ნავთობის მოძიება და გადამუშავება არ მიმდინარეობს. ინვესტორმა იცის, როგორც კი დაიწყებს მუშაობას, იქ მივა ხალხი და ამის საშუალებას არ მისცემს.

საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თენგიზ ჯოპუა:

– ადამიანები პასიურები არიან. ისინი დაიღალნენ არჩევნებისაგან, საარჩევნო პროცესისაგან, პოლიტიკაში მონაწილეობისაგან. ხალხს არც ერთი პოლიტიკური ძალისა არ სჯერა. ხალხის რეფერენდუმზე მოყვანა გაჭირდება. ხელისუფლებას აქვს მძლავრი ადმინისტრაციული რესურსი. მას შეუძლია ბევრ ადამიანზე მოახდინოს გავლენა, რათა ადამიანებმა რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღონ.

ისტორიკოსი ანზორ მარშანია:

– პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წლითაა განსაზღვრული. კანონმდებლობაში არ არსებობს მუხლი, რომელშიც ჩაწერილია, რომ რეფერენდუმით შეიძლება სახელმწიფოს მეთაურის გადაყენება. უფლებამოსილების ვადის შემცირება რეფერენდუმით შეუძლებელია. საჭიროა ცვლილებები კონსტიტუციაში. სანამ ეს მოხდება, ჯობია, სხვა მიდგომების გამოყენება, რათა ხელისუფლება უფრო ეფექტიანი გახდეს და შეასრულოს კონსტიტუცია და კანონები.

არმაზ ახვლედიანი: „ზოგჯერ ზახაროვას სურვილები და „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება კვეთს ერთმანეთს“



– ზოგჯერ ხდება, რომ ზახაროვას სურვილები და „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება კვეთს ერთმანეთს, ეს არის საქართველოს ტრაგედია – ვფიქრობ, „ქართულ ოცნებაში“ ორჯერ მაინც დაფიქრდებიან, სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, – ასე ეხმიანება ოპოზიციონერი დეპუტატი არმაზ ახვლედიანი მარია ზახაროვას განცხადებას, რომ რუსეთი ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა აფხაზეთის გავლით სომხეთში სარკინიგზო მიმოსვლა აღდგეს.

ახვლედიანი აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ არა ქართველი ხალხის, არამედ ვინროპარტიული და ივანიშვილის ინტერესებით მოქმედებს, ამიტომ ვერაფერს გამორიცხავს.

– ზახაროვა ყოველთვის გვეუბნება იმას, რაც სურს კრემლს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება არ ამბობს იმას, რაც ქართველ ხალხს სურს და ვინროპარტიული და ივანიშვილების ინტერესებით მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში, ზოგჯერ ხდება, რომ ზახაროვას სურვილები და „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება სადღაც კვეთს კიდეც ერთმანეთს, ეს არის საქართველოს ტრაგედია. სულ არ გამოვრიცხავ, რომ ახლაც გადაიკვეთოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის მგრძნობიარე, განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი და მე ვფიქრობ, რომ ალბათ, ორჯერ მაინც დაფიქრდებიან, სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაგრამ გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ, – განაცხადა ახვლედიანმა.

შარლ მიშელი: „რეკომენდაციების შესრულება იქნება მთავარი“

– ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საქართველოზე, რეკომენდაციების შესრულება იქნება მთავარი, რომ ევროპულმა საბჭომ საქართველოსთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება წლის ბოლოს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა ბრიუსელში ევროგაერთიანების ლიდერთა სამიტის დაწყების წინ განუცხადა.

როგორც შარლ მიშელმა აღნიშნა, მიესალმებიან საქართველოს მიერ გადადგმულ ბოლო ნაბიჯებს.

– რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ მივესალმებით საქართველოს მიერ გადადგმულ ბოლო ნაბიჯებს და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მხარი დავუჭიროთ საქართველოს მცდელობებს, მაგრამ ვნახავთ, როგორი იქნება მოხსენება ზაფხულის შემდეგ. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საქართველოზე, რეკომენდაციების შესრულება იქნება მთავარი, რომ ევროპულმა საბჭომ საქართველოსთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება წლის ბოლოს, – განაცხადა შარლ მიშელმა, რომლის კომენტარსაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

18 მდუმარე დეპუტატი და მივლინებებზე დახარჯული 1.739.782.93 ლარი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ პარლამენტის 2022 წლის საქმიანობას აფასებს, საიდანაც ირკვევა, რომ წლის მანძილზე სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია 18 წევრს. TI-ის ცნობით, აქედან 10 უმრავლესობის წევრი იყო:

ელგუჯა გოცირიძე, ისკო დასენი, სუმბატ კიურელიანი, ლევან კობიაშვილი, სამველ მანუკიანი, გოგი მეშველიანი, დიმიტრი სამხარაძე, გოდერძი ჩანქსელიანი, ვასილ ჩიგოგიძე და ვიქტორ ჯაფარიძე.

ხოლო 8 ოპოზიციის დეპუტატი:

გრიგოლ ვაშაძე, აბდულა ისმაილოვი, მანუჩარ კვირკველია, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი, ბაჩუკი ქარდავა, ცეზარ ჩოჩელი და დილარ ხაბულიანი.

2022 წლის საქმიანობის შეფასებით, პლენარულ სხდომაზე ყველაზე მეტი გამოსვლა უმრავლესობიდან მიხეილ სარჯველაძეს (242) ჰქონდა, ხოლო ოპოზიციიდან რომან გოცირიძეს (93);

პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტჯერ გააცდინა ოპოზიციიდან კობა ნაყოფიამ (13 გაცდენა), ხოლო უმრავლესობიდან ელისო ბოლქვაძემ (11 გაცდენა).

გარდა ამისა, ორგანიზაციის ცნობით, საზღვარგარეთ მივლინებებში პარლამენტის 84 წევრზე 1.739.782.93 ლარი დაიხარჯა. ხოლო პარლამენტის 25 წევრს, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე, ხელფასიდან საერთო ჯამში 68.704.69 ლარი დაექვითა.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ისარგებლა პარლამენტის 99-მა წევრმა, აქედან ყველაზე მეტი კანონპროექტის ინიციატორია ოპოზიციიდან დავით უსუფაშვილი (39 კანონის პროექტი) და უმრავლესობიდან რატი იონათამიშვილი (38 კანონის პროექტი);



შეფასების ძირითადი მიგნებები:

2022 წელს ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის წარდგენა იყო. 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესის წარმართვა პარლამენტმა ითავა, შექმნა სამუშაო ჯგუფები და წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივები. რეკომენდაციების შესრულების მიზნით განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა და საპარლამენტო კონტროლისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ პარლამენტმა ვერ უზრუნველყო პროცესის საკმარისი ინკლუზიურობა, მასში ოპოზიციის წარმომადგენლებისა და საოქალაქო საზოგადოების საკმარისი ჩართულობა;

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად, საკანონმდებლო დონეზე მოხდა საპარლამენტო კონტროლის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესება, პარლამენტი არ დგამს ნაბიჯებს ოპოზიციისთვის საკმარისი მაკონტროლებელი ფუნქციების მინიჭებისა და მისი ფუნქციური გაძლიერებისთვის. პირიქით, საპარლამენტო უმრავლესობა ცდილობს ოპოზიციის დასუსტებას, რისი მაგალითიცაა ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, მაგალითად, ბადრი ჯაფარიძის შემთხვევაში;

2022 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა პარლამენტის გამჭვირვალობა. მედიისა და საოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს პარლამენტის შენობაში შესვლა და კომიტეტზე დასწრება დაუსაბუთებლად, პარლამენტის უსაფრთხოების წესებზე ზოგადი მითითებით ეზღუდებოდათ. პარლამენტმა მუდმივი საშვები გაუუქმა პარლამენტის მონიტორინგის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს;

2022 წელს, მეათე მოწვევის პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტმა პირველად გამოიყენა ვეტოს უფლება და ვეტო დაადო ფარული მოსმენების მარეგულირებელ კანონპროექტს, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუარესა პირადი ცხოვრების დაცვის სტანდარტი. პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

TI-ის ცნობით, პროგრესულად შეფასებულ კანონთა შორისაა: გენდერული ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის თავშესაფრის ახალი წესით სარგებლობის შემოღება.

პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს: ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა, საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესება.

ნეგატიურად შეფასებული შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები: ფარული საგამოძიებო მოქმედებებისას ადამიანის უფლებების სტანდარტის გაუარესება, სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირება.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„საქართველო უპატრონოდ დარჩა. „ოცნებას“ სხვაგვარად რომ ემუშავა, შეიძლება, საქმე ასე არ ყოფილიყო“

წრებ. მე მიმიცია ხმა, მაგრამ ყოველთვის მითქვამს. იცოდეთ, თუ ასე არ აღმოჩნდება, მე პირველი გამოვალ და ვიტყვი, ასე იყო-მეთქი.

თუ ელემენტარულად, წესიერი და პატიოსანი ადამიანი ხარ, უნდა თქვა. შეცდომაში შეყვანილი ვიყავი. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია, მაგრამ ეს ვინმემ თქვა? არა. აი, ორმაგი სტანდარტები.

როდესაც ქვეყანა ევროკავშირის 15 სახელმწიფოს უსწრებს იმ ინდექსებით, რაც არის, ვთქვათ, ანტიკორუფციული კუთხით, ხელისუფლების პასუხისმგებლობის თუ მსგავსი პარამეტრებით და მას აბრალებ, თქვენ აქ რაღაცას აპარებთო, ეს სწორი მიდგომა არ არის.

კიდევ კარგი, შეხვედრის დროს აღმოჩნდებოდა, რომ მტკიცებულება არ აქვთ. ამ დროს ჩვენი მთავრობა ყოველთვის ეკითხება, მტკიცებულებები თუ გაქვთო. გახსოვთ, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ რომ დაგვაბრალა, ქართველები რუსებს კონტრაბანდას აწვდითო.

ჩვენებმა ნოტა გაუგზავნეს, ინფორმაცია მოგვაწოდეთ და ყველანაირ ზომებს მივიღებთ, ჩვენი დაკვირვებით, არაფერი ხდებაო. კულებამ უპასუხა: თქვენ თვითონ უნდა მოგვაწოდოთ ინფორმაცია, მაგრამ თქვენ ამას არ აკეთებთო.

– სანქციებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ საქართველოში არ ჩამოვიდნენ და აქედან სომხეთსა და სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან. ადრე კიდევ სხვა ქვეყნებში იმყოფებოდნენ. აქ კი განაცხადეს, ხელისუფლებას მადლობა სანქციებთან დაკავშირებით კარგი მუშაობის გამოო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება ამ ვიზიტს, როდესაც ისინი ადგილებზე დაბრუნდებიან?

– კარგი შედეგი მოჰყვება იმიტომ, რომ ესენი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ჩინოვნიკები არიან, პოლიტიკურ თამაშებში ჩაბმული არ არიან (როგორც სტრასბურის სასამართლო) და დაწერენ იმას, რაც არის.

უცხოურ სტატიებს ვკითხულობდი, სადაც იმ ქვეყნების ჩამონათვალია, რომლებიც პოტენციურად ეჭვის ქვეშ არიან დაყენებული, სადაც საჭიროა ინსპექცია, მაგრამ საქართველო იქ ნახსენები არ იყო.

– ანუ საქართველო ეჭვის ქვეშ არ იყო, სანქციებზე მომუშავე საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენლები მაინც ჩამოვიდნენ?

– დიახ. სია ორჯერ გადავიკითხე და საქართველო იმ სიაში არ იყო, მაგრამ სხვა ქვეყნები იყვნენ. საქართველოს პარამეტრების შედარება უკრაინასა და მოლდოვასთან და იმ სკანდალებთან, რაც უკრაინაში ხდება, არ შეიძლება.

ერთი თვე არ არის გასული მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სამი მილიონი დოლარის აღების გამო დააპატიმრეს. გუშინწინ, ერთ-ერთი ჩინოვნიკი დააპატიმრეს, იმან ცოტა აიღო, რაღაც მილიონნახევარი.

პროკურატურამ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 26 ივნისს, კასპის მუნიციპალიტეტში, არასრულწლოვნებს შორის მომხდარი კონფლიქტით განაწყენებულმა ბრალდებულმა, მისი არასრულწლოვანი შვილი დაარწმუნა, რომ დაზარალებული ეცემა, ხოლო არასრულწლოვნებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს, ბრალდებული შვილს მითითებებს აძლევდა და გასაშველებლად მისულ პირებს კონფლიქტის განეიტრალების საშუალებას არ აძლევდა.

სამართალდამცველებმა აღნიშნული პირი 27 ივნისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი პრიმა ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ძალადობა, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) წარედგინა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, გორის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

„ვადასტურებთ“ — შსს ნარკოდანაშაულის ბრალდებით მოზარდის დაკავებაზე



შსს ადასტურებს, რომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულებს შორის ერთი არასრულწლოვანიცაა. როგორც უწყებაში დღეს გამართულ ბრიფინგზე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ განაცხადა, დაკავებულებს შორის არიან ქალებიც.

შეგახსენებთ, ქვეყნის მასშტაბით სპეცოპერაციები დღეს დილით ჩატარდა. სულ დაკავებულია 52 პირი, მათ შორის, 37 ნარკორეალიზატორი. დაკავებულები არიან როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

16 წლის მოზარდი ფონიჭალაში დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურმა საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის საბაჟო წესების დარღვევით გადმოტანის ფაქტები გამოავლინა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის საიუველირო ნაკეთობების საბაჟო წესების დარღვევით გადმოტანის სამი ფაქტი გამოავლინეს.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ორ შემთხვევაში, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული, არადეკლარირებული საიუველირო ნაკეთობები საბაჟო საზღვარზე გადმოტანილ იქნა სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებში მოწყობილი სამალავების გამოყენებით, ხოლო ერთ შემთხვევაში, ძვირფასეულობა ბრალდებულის მიერ გადმოტანილ იქნა სხეულზე მიმაგრებული სახით.

ჯამში, ამოღებულია 405 გრამი ოქროსა და 6.528 გრამი ვერცხლის საიუველირო ნაკეთობები, რომელთა საბაჟო ღირებულება შეადგენს 52.968 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

მდინარე ლიახვში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მაშველებმა მდინარე ლიახვში ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს.

არსებული ინფორმაციით, ცხედარი ამ დროისთვის იდენტიფიცირებული არ არის.

სავარაუდოდ, საუბარია 22 წლის ბიჭის ცხედარზე, რომელიც გუშინ, სოფელ თედოწმინდასთან მეგობრებთან ერთად ლიახვში ბანაობის დროს წყლის დინებამ გაიტაცა. სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი მაშველები, ისე თბილისიდან ჩასული მყვინთავები.

ამინდი გაფუჭდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 29 ივნისიდან 1 ივლისის დილამდე საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგან ძლიერი და ელჭექი, აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან სეტყვა. 30 ივნისს და 1 ივლისს იქროლებს დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, ზღვაზე 4-ბალიანი შტორმი.

მოსალოდნელმა ძლიერმა წვიმებმა საქართველოს პატარა მდინარეებზე შესაძლებელია წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა, გააქტიურება გამოიწვიოს.

შსს: ნარკოდანაშაულის ბრალდებით 52 პირია დაკავებული, მათ შორის 37 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 52 პირი დააკავეს, მათ შორის 37 ნარკორეალიზატორია.

უწყების ცნობით, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დაკავებული არიან როგორც საქართველოს, ასევე გერმანიის, უკრაინის, თურქეთის, რუსეთის ფედერაციის, ნიგერიის, ინდოეთის და ირანის მოქალაქეები.

ნარკოტიკების უკანონო გასაღების და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: თურქეთის მოქალაქეები – 1991 წელს დაბადებული ფ.ქ. და 1981 წელს დაბადებული ი.ი., ინდოეთის მოქალაქე – 1999 წელს დაბადებული ა.ი., ნიგერიის მოქალაქეები – 1995 წელს დაბადებული ბ.ი. და 2002 წელს დაბადებული დ.ი., და რუსეთის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ე.გ.

ასევე, საქართველოს მოქალაქეები – 2000 წელს დაბადებული გ.ა., 1982 წელს დაბადებული ე.გ., 2000 წელს დაბადებული ე.ზ., 1973 წელს დაბადებული ლ.თ., 1994 წელს დაბადებული ა.ს., 1993 წელს დაბადებული გ.ჩ., 1983 წელს დაბადებული გ.ბ., 1992 წელს დაბადებული ე.მ., 1976 წელს დაბადებული დ.კ., 1988 წელს დაბადებული ი.გ., 2007 წელს დაბადებული რ.ს., 1978 წელს დაბადებული კ.გ., 1998 წელს დაბადებული რ.მ., 1956 წელს დაბადებული რ.მ., 1984 წელს დაბადებული გ.ა., წარსულში ნასამართლევი პირები – 1966 წელს დაბადებული გ.ჭ., 1974 წელს დაბადებული ი.ჯ., 1974 წელს დაბადებული ზ.ხ., 1970 წელს დაბადებული მ.გ., 1970 წელს დაბადებული ა.ტ., 1993 წელს დაბადებული ს.ი., 1979 წელს დაბადებული ნ.მ., 1991 წელს დაბადებული დ.ე., 1979 წელს დაბადებული თ.ბ., 1976 წელს დაბადებული ჯ.ი., 1982 წელს დაბადებული გ.გ., 1978 წელს დაბადებული ლ.ი., 2002 წელს დაბადებული ა.ხ., 1995 წელს დაბადებული გ.ს., 1989 წელს დაბადებული ნ.გ. და 1977 წელს დაბადებული დ.კ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირებისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული ნ.მ., 1990 წელს დაბადებული თ.კ., 1995 წელს დაბადებულ ჯ.ბ., 1991 წელს დაბადებული გ.ბ., უკრაინის მოქალაქეები – 1973 წელს დაბადებული მ.ბ., 1978 წელს დაბადებული მ.დ. და 1979 წელს დაბადებული ე.ჩ., გერმანიის მოქალაქე, 1976 წელს დაბადებული ტ.დ., თურქეთის მოქალაქეები – 1989 წელს დაბადებული ო.ქ., 1980 წელს დაბადებული ო.ბ., 1979 წელს დაბადებული ქ.დ. და 1991 წელს დაბადებული ე.ქ. ასევე, ირანის მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული გ.ი., და წარსულში ნასამართლევი ორი პირი – 1992 წელს დაბადებული დ.ლ. და 1999 წელს დაბადებული ნ.ვ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართული.

ისინი ნარკოტიკული საშუალებების შემდგომში რეალიზაციის მიზნით, სხვადასხვა ლოკაციაზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, რასაც შემდგომ შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვის ფარული აუდიო და ვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი, საცხოვრებელი ბინების და მათი ავტომობილების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო.

ნივთმტკიცებად ამოღებულია: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მეტამფეტამინი“, „ოპიუმი“, „პრეგაბალინი“, „ამფეტამინი“, „მდმა“, „ექსტაზი“, „ბუპრენორფინი“, „მეთადონი“, გამომშრალი „მარიხუანა“, მცენარე „კანაფი“ და სხვადასხვა სახის ფსიქოტროპული ნივთიერება. ნარკოტიკულ საშუალებებზე დაკავებული ორი პირისგან ამოღებულია ასევე, ცეცხლსასროლი იარაღები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 261-ე, 262-ე და 273-ე პრიმა, 263-ე, 265-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

45 წლის ქალმა დედას ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა — რა მოხდა გიორგიწმინდაში

45 წლის ქალმა დედას ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და დანაშაულის იარაღი დამალა. შემზარავი ფაქტი საგარეჯოს სოფელ გიორგიწმინდაში მოხდა. დაჭრილი 75 წლის ეთერ ქურხულის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა, მეზობლებმა დღის 12 საათზე გაიგეს. პოლიცია შემთხვევის ადგილზე სწორედ მათ გამოიძახეს. მანამდე კი დასახმარებლად სოფლის ექიმს მიმართეს, თუმცა დაჭრილის გადარჩენა ვერ მოხერხდა. საკუთარი დედის განზრახ მკვლელობისთვის ცხელ კვალზე დააკავეს თამილა იორამაშვილი.

„კურიერმა“ გაარკვია, რომ შვილმა მშობელი სამზარეულოში მოკლა. ამ დროს დედა-შვილი სახლში მარტო იყვნენ. გამოძიებით ირკვევა, რომ მომხდარს წინ უძღოდა სიტყვიერი კამათი. ახლობლების ვერსიით კი, მომხდარი დაკავებულის ფსიქიკურ პრობლემებს უკავშირდება, მეზობლები ჰყვებიან, რომ დედა-შვილის ჩხუბის ხმაც არაერთხელ გაუგიათ. გიორგიწმინდაში ჩატარებული რამდენიმესაათიანი საგამოძიებო ღონისძიების შედეგად სამართალდამცველებმა მკვლელობის იარაღი ამოიღეს. პარალელურად მიმდინარეობს მოწმეების გამოკითხვა. ბრალდებულს ბრალს, სავარაუდოდ, ხვალ გააცნობენ. იყო თუ არა შერაცხადი საკუთარი დედის მკვლელობის დროს თამილა იორამაშვილი – ეს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ექსპერტიზით დადგინდება. დაკავებულს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 16-20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება.

საზოგადოება

სკანდალი ჯანდაცვაში — გარდაცვლილი სასწრაფოს მძღოლი და სამინისტროს შურისძიება

სადამსჯელო სპეცოპერაცია ექიმების წინააღმდეგ – მედიკოსებს სამსახურებიდან ერთიმეორეს მიყოლებით უშვებენ. სასწრაფო დახმარების ექიმები ჯანდაცვის სამინისტროს შურისძიებაში ადანაშაულებენ.

როგორც გაირკვა, მედიკოსებს, ვინც ხელფასების მატებას ითხოვდა, ახლა ტრენინგების გავლის შემდეგ გამოცდებს აბარებინებენ და მასობრივად ჭრიან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სასწრაფოს მძღოლი გამოცდიდან პირდაპირ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც პაციენტი გარდაიცვალა. გათავისუფლებულთა რიცხვი უკვე 200-მდე აღწევს.

თურმე გამოცდა ყოფილა აუცილებელი, მაგრამ რატომ ხდება ეს, ტრენინგის ბრალია თუ ჩვენ, ყველა ექიმი, ერთად გამოვედით მწყობრიდან, რომ 14 ადამიანიდან შეიძლება 14-ვე ჩაიჭრას, ან 20-დან 18 ჩაიჭრას?

ჩვენი ჯგუფიდან ყველა ჩაიჭრა, ვინც გამოცდაზე გავიდა. რატომღაც, უცებ გამოგვიცხადეს, რომ ყველანი დათხოვილები ვიყავით სამსახურიდან. ამას წინ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა რეპრესიები უძღოდა. ვინც პროფკავშირებში ვიყავით და ვმონაწილეობდით, ზეწოლა იყო იქიდან, რომ პირველ რიგში, თუ გინდოდა, რომ ტრენინგი ჩაგებარებინა, უნდა გამოსულიყავი პროფკავშირებიდან. უნდა გაჩუმებულიყავი, იყო ქვედა დინებებიდან ინფორმაციის მოწოდებები, ამას ოფიციალურად არავინ იტყვის. ეს არის დამსჯელობითი ფუნქცია და ეს გამოიხატა იმაშიც, რომ ერთ-ერთ სასწრაფოს მძღოლს, რომელსაც ტრენინგს უტარებდნენ, ჯანმრთელობამ ვეღარ გაუძლო და გული გაუჩერდა, – ამბობს სასწრაფოს ექიმი.

საიდუმლო შეკრება კოპენჰაგენში

დანიის დედაქალაქში საიდუმლო შეკრება გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის, აშშ-ის, კანადის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის, ინდოეთის, ბრაზილიის წარმომადგენლებმა. უკრაინას წარმოადგენდა პრეზიენტ ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელი ერმაკი.

უკრაინის წარმომადგენელმა ერმაკმა ფრიად უცნაური სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა, რომ უკრაინული კონტრშეტევა ისე კარგად არ წარიმართა, როგორც ვარაუდობდნენ, ამიტომ დროა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ფიქრი. ერმაკმა აღნიშნა, რომ ომის შეწყვეტა და მშვიდობის დამყარება აუცილებელია და ამაზე ზრუნვა ახლავე უნდა დავიწყოთო.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ამ გამოსვლამ, რბილად რომ ვთქვათ, გაოცება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ფართომასშტაბიანი უკრაინული კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა. სახეზეა მხოლოდ ლოკალური შეტევითი ოპერაციები. მიუხედავად ამისა, ეფექტი უკვე ძალზე დიდია. უკრაინამ გაარღვია რუსების თავდაცვითი ზღუდეები დონეცკთან; შესანიშნავი შედეგებია მიღწეული ფრონტის ისეთ ცხელ უბნებზე, როგორიცაა ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა; უკრაინელებმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქში. რაც მთავარია, დღეისათვის უკრაინელებმა მოამზადეს 20 ახალი ბრიგადა, რომელიც ნატოს სტანდარტებითაა განვრთნილი და აღჭურვილი. ისინი ბრძოლაში ჯერ არ ჩაბმულან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ძირითადი უკრაინული ძალები საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობენ. მიუხედავად ამისა, ერმაკმა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე მზადყოფნა გამოთქვა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: შეხვედრაზე არ ჩამოვიდა აშშ-ის წარმომადგენელი, პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში სელივანი. მან კოპენჰაგენის სამიტში მხოლოდ ონლაინ რეჟიმში მიიღო მონაწილეობა. ამან, ბუნებრივია, კოპენჰაგენის სამიტის წარმომადგენლობითობას დაღი დაასვა. მიუხედავად ამისა, ერმაკის პოზიცია ნათელი და გასაგები იყო.

ერმაკის წინადადებას ფრიად უარყოფით რეაქცია მოჰყვა უკრაინაში. უკრაინელთა 84% რუსეთთან დათმობების წინააღმდეგია. ეს შეეხება როგორც ტერიტორიულ დათმობებს, ასევე ნატოში შესვლის საკითხს. უკრაინელთა უმრავლესობისათვის მიუღებელია პუტინისეული სქემა ნეიტრალური უკრაინის შესახებ, სადაც საომარი მოქმედებები გაიყინება და საზღვარი გავა იქ, სადაც საომარი მოქმედებები შეჩერდება. ამას როგორც აშშ-ის, ასევე ბრიტანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის გავლენიანი ძალები ეწინააღმდეგებიან. ამას გარდა, ასეთ დათმობას არასაკმარისად თვლის რუსეთი. ის მოითხოვს, რომ საკანონმდებლო დონეზე იქნეს აღიარებული როგორც ყირიმის, ასევე დონბასის და ხერსონ-ზაპორიჟიეს ოლქების რუსეთში შესვლის საკითხი. ეს კი საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიუღებელია.

ბაიდენი: „პუტინი მთელ მსოფლიოში გარიყულ პოლიტიკოსად გადაიქცა!“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ პრიგოჟინის ამბოხმა პუტინის პოზიციები ძლიერ შეასუსტა. ეს შეეხება როგორც მდგომარეობას თავად რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში.

– პუტინი უკრაინაში ომს აგებს! ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, სტატუსი შეიცვლება! – თქვა ბაიდენმა.

ბლინკენი: „უკრაინას გამარჯვებისთვის ყველაფერი აქვს!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი უკრაინელთა კონტრშეტევის დაწყებას და უკრაინული არმიის პირველ წარმატებებს გამოეხმაურა. მან თქვა, რომ მიესალმება უკრაინელი ერის გმირობას და უკრაინელთა გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება.

რას მოელის უკრაინა ნატოსაგან?

პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა იმედით უყურებს ნატოს ვილნიუსის სამიტს, კერძოდ, მოელის ნატოსაგან სამ სიგნალს.

– დღეს, როცა ომია, უკრაინა ნატოში ვერ გაწევრიანდება. ამავე დროს გვჭირდება გარანტიები იმისა, რომ ომის შემდეგ უკრაინა ნატოს წევრი გახდება, – თქვა ზელენსკიმ.

მეორე სიგნალი უკრაინისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემაა. ეს კიევს სჭირდება დღეს, როცა მიმდინარეობს ომი რუსეთთან.

მესამე სიგნალი, ეს ნატოს ხელმძღვანელობის მიერ ოფიციალური განცხადების გაკეთებაა, რომ უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება.

შედგა ზალუჟნისა და გენერალ მილის სატელეფონო საუბარი

უკრაინული არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსს, გენერალ მილის დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-უკრაინის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა იყო.

ზალუჟნიმ ამერიკელ პარტნიორს მოახსენა, რომ უკრაინული არმია განაგრძობს შეტევით ოპერაციებს. ის მტკიცედ ფლობს ინიციატივას. რუსები ცდილობენ პოზიციების შენარჩუნებას, ნაღმავენ იმ ტერიტორიებთან მისასვლელ გზებს, სადაც გამაგრებულნი არიან.

რუსეთმა უკრაინის დაბომბვა გააძლიერა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, უკრაინელებმა წარმატებებს მიაღწიეს ბახმუტში. საუბარია როგორც ფლანგებზე, ისე თავად ბახმუტზეც. აქ უკრაინული არმია ნელა, მაგრამ წინ მიიწევს და ქუჩას ქუჩაზე იკავებს.

უკრაინელთა წარმატებები სახეზეა სოლედართან, ავდეევკასთან, მარინკასთან, უგლედართან. უკრაინელთა წინსვლა გრძელდება ზაპოროჟიეს ოლქში. აქ უკრაინული არმია სოფელს სოფელზე იკავებს. პარალელურად გრძელდება პარტიზანული აქციები დროებით ოკუპირებულ მელიტოპოლის ტერიტორიაზე.

ბრძოლებია ხერსონის ოლქშიც. აქ უკრაინული არმია ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზე წინ მიიწევს. კერძოდ, უკრაინელები, სოფელ ოლეშკის უახლოვდებიან. გააფთრებული ბრძოლებია ანტონოვის ხიდთან.

დანაკარგებით გაბოროტებულმა რუსეთმა უკრაინის დაბომბვა 1,6-ჯერ გააძლიერა. მტერი იყენებს როგორც კალიბრის ტიპის რაკეტებს, ისე ირანულ შახედებსაც

დაიბომბა ქალაქები: კიევი, პოლტავა, ხარკოვი, ტერნოპოლი, ლვოვი, როვნო. უკრაინას ძალზე გამოადგა ის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები, რომლებიც დასავლეთმა გადასცა და რომლებიც უკრაინის ცას იცავენ.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

უკრაინის გენშტაბის ცნობით, რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.038, ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 7.857, არტილერია – 4.116, თვითმფრინავები – 315. განადგურებულია – 227.780 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მარინა ცქიტიშვილი, სოსო, ნათია და ზვიად კვიციანები ოჯახებით ულოცავენ

როინ მეტრეველს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევას და უსურვებენ მის ლამაზ ოჯახთან ერთად ბედნიერ და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ლაშა გურულმა საქართველოს მეოთხე ოლიმპიური ლიცენზია მოუტანა

ლაშა გურულის გარანტირებული მედალი და პარიზის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია – ასეთია პოლონეთში მიმდინარე მესამე ევროპული თამაშების ბოლო მონაგარი.

გურულმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ბულგარელი რადოსლავ როსენოვი 5:0 დაამარცხა და ნახევარფინალში იასპარეზებს. ეს კი ნიშნავს, რომ ქართველი მოკრივე პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებს.

გეტყვით, რომ გურულმა საწყის რაუნდში ესპანელ ადრიან ტიამ კრეუსს მსაჯების გადაწყვეტილებით 3:2 აჯობა, შემდეგ სლოვაკ ვილიამ ტანკოს 5:0 მოუგო.

ნახევარფინალში ლაშას მეტოქე უნგრელი რიჩარდ კოვაჩი იქნება. ეს ჩხუბი დღეს არის ჩანიშნული.

ნოვი ტარგის სპორტულ დარბაზში ასევე იასპარეზა მოკრივე არტიუშ გომციანმა (57კგ). სამწუხაროდ, ესპანელ მეტოქესთან 1:4 დამარცხდა.

იასპარეზეს ხმლით მოფარიკავე ვაჟებმა. ჩვენმა ოთხეულმა – სანდრო და ბექა ბაზაძეები, ვახტანგ არჩვაძე და გოგა კაკაურიძე – ტაურონის დარბაზში გუნდური პირველობის ოქროს შეუტია, მაგრამ მხოლოდ ერთი მეტოქე დაამარცხა.

მერვედფინალში ქართველებმა 45:36 აჯობეს თურქეთს, მეოთხედფინალში კი უნგრეთის ძლიერ გუნდს შეხვდნენ და დამარცხდნენ – 28:45.

გეტყვით იმასაც, რომ ევროპულ თამაშებზე ამ დროისთვის ქართულ დელეგაციას 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. კიდევ ერთი მედალი გურულის იქნება, მაგრამ რა სინჯის, ამას დასკვნით დღეებში გავიგებთ.

ასევე მედლისთვის იბრძოლებენ ჩვენი ძიუდოისტები, მაგრამ მხოლოდ გუნდურ შეჯიბრში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მარათონელი გარბენის დროს შეიარაღებული ძარცვის მსხვერპლი გახდა

ბრიტანელმა მარათონელმა მორბენალმა რასელ კუკმა და მისმა გუნდმა აფრიკაში საქველმოქმედო გარბენის დროს შეიარაღებული თავდასხმა გადაიტანა.

რასელ კუკმა გადაწყვიტა, პროექტი პროჯექტ აფრიკა განეხორციელებინა, რომლის ფარგლებში მას მთელი აფრიკის კონტინენტი უნდა გადაერბინა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და თანხები შეეგროვებინა ქველმოქმედებისთვის. წარმატების შემთხვევაში, ბრიტანელი პირველი ადამიანი გახდება მსოფლიოში, რომელიც სირბილით მთელ კონტინენტს გადალახავს.

როდესაც სპორტსმენი და მისი გუნდი ანგოლაში იმყოფებოდნენ და დაგეგმილი 14,5 ათასი კილომეტრიდან უკვე გავლილი ჰქონდათ 2,9 ათასი კილომეტრი, შეიარაღებული ძარცვის მსხვერპლი გახდა. მარათონელის თქმით, მის სატვირთო მანქანას თავს შეიარაღებული მძარცველები დაესხნენ და წაართვეს ვიდეოკამერები, ტელეფონები, პასპორტები და ფული.

– ისე არაფერი გაგრძნობინებს იმას, რომ ცოცხალი ხარ, როგორც სახეში დამიზნებული იარაღი, – აღიარა ბრიტანელმა.

ანგოლას შემდეგ კუკს მოუწევს კონგოს, კამერუნის, ნიგერიის, ბენინის, ტოგოს, განას, კოტ-დ,ივუარის, გვინეის, სენეგალის, მავრიტანიის, ალჟირის გავლა ხოლო გარბენის დასრულებას ტუნისში გეგმავს.

13 წლის მოზარდმა ალიგატორი ჯოხით მოიგერია

ამერიკის ფლორიდის შტატში 13 წლის გაბრიელ კლიმისმა მოახერხა ჯოხის გამოყენებით მოეგერიებინა ალიგატორი, რომელიც მას თავს დაესხა.

ქალაქ ვინტერ-სპრინგსში 20 ივნისის საღამოს მოზარდი მეგობრებთან ერთად ხიდიდან მდინარეში ხტომით ერთობოდა. როდესაც გაბრიელი მორიგი ნახტომის შემდეგ ნაპირზე ამოდიოდა, მოულოდნელად წყლიდან ალიგატორი ამოიჭრა, ბიჭს პირი ფეხში სტაცა და მდინარის სიღრმეში მის ჩათრევას შეეცადა. მოზარდი არ დაიბნა, იქვე დაგდებულ ჯოხს დასტაცა ხელი და რეპტილიას დაუშინა.

– ის წყლისკენ ჩემ გათრევას ცდილობდა, მე კი მას ჯოხი დავარტყი... ამ დროს მან პირი გამიშვა და მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი, – იხსენებს მოზარდი.

ბიჭმა უახლოეს სახლთან მიირბინა დახმარების სათხოვნელად. იქიდან დედას დაურეკა და მომხდარის შესახებ აცნობა.

– სრული შოკი, საშინელება, რა თქმა უნდა, ძალიან შევშინდი. ბავშვს ვუთხარი, რომ 911-ში დაერეკა, მე კი მალე მივიდოდი, – თქვა ბიჭის დედამ ელისონ კლიმსმა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანა. სამედიცინო დაწესებულებაში გაბრიელს ჭრილობა დაუმუშავეს, ნაკერები დაადეს და სახლში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საქართველო ფიფას რეიტინგში დაქვეითდა

ფიფამ ივნისის სანაკრებო მატჩების შემდეგ რეიტინგი განაახლა. საქართველოს ნაკრებს მცირე რეგრესი აქვს – ვილი სანიოლის გუნდმა ერთი საფეხურით უკან დაიხია.

ჩვენი ეროვნული გუნდი კვიპროსთან (2:1) გამარჯვებისა და შოტლანდიასთან (0:2) მარცხის შედეგად რეიტინგში 77-ე ადგილიდან 78-ე პოზიციამდე დაქვეითდა. არადა, ფიფას მონაცემებით, გუნდმა 1.29 ქულა მოიმატა, მაგრამ ბევრად მეტი აიღო ისრაელის ნაკრებმა (16.4) და სწორედ ამის ხარჯზე გადაგვასწრო.

ამ დროისთვის ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდის აქტივში 1 312 ქულაა.

რეიტინგს კი, ისევ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინა ლიდერობს, რომელიც სულ მცირედით უსწრებს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს. სამეულს ბრაზილია ხურავს.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1.არგენტინა (1843.73 ქულა); 2.საფრანგეთი (1843.54); 3.ბრაზილია (1828.27); 4.ინგლისი (1797.39); 5.ბელგია (1788.55); 6.ხორვატია (1742.55); 7.ნიდერლანდები (1731.23); 8.იტალია (1726.58); 9.პორტუგალია (1718.25); 10.ესპანეთი (1703.45).

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე: რეიტინგში ყველაზე წინ ესპანეთის ნაკრებია, რომელმაც მე-10 ადგილი შეინარჩუნა; მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს შოტლანდიას, რომელიც 6 პოზიციით დანინაურდა და 1520.24 ქულით 30-ე ადგილზეა; ნორვეგია კვლავ 44-ე ადგილზეა; კვიპროსი 111-ე ადგილიდან 118-ეზე ჩამოქვეითდა.

ზურიკო დავითაშვილი ბორდომ გამოისყიდა

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ზურიკო დავითაშვილი ფრანგულმა ბორდომ ბათუმის დინამოდან გამოისყიდა.

საფრანგეთის ლიგა 2-ში მოთამაშე ჟირონდელებმა 22 წლის ქართველ შემტევ ნახევარმცველთან კონტრაქტი 2027 წლის ივნისამდე გააფორმა.

დავითაშვილი ბორდოში 2022-23 წლების სეზონშიც თამაშობდა, მაგრამ იჯარის წესით. თუმცა, ხელშეკრულება ტრანსფერის გამოსყიდვის შესაძლებლობას აძლევდა და ფრანგულმა კლუბმაც ეს პუნქტი აამუშავა.

„კლუბი მოხარულია დავითაშვილის კონტრაქტით და მომდევნო სეზონებში ზურიკოს ნიჭიერების იმედი ექნება. მანამდე კი, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წარმატებით დასრულებას ვუსურვებთ და სეზონისწინა სამზადისზე მოუთმენლად ველით“ – წერია ბორდოს ვებგვერდზე.

გეტყვით, რომ გასულ სეზონში დავითაშვილმა ჟირონდელთა მაისურით ყველა ტურნირის 31 მატჩში ითამაშა. მისი მონაგარი ასეთია: 6 გოლი და 3 საგოლე პასი.

ბორდო მომავალ სეზონსაც ლიგა 2-ში გაატარებს.

დავითაშვილი ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაშობს და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ეხმარება.

ახალგაზრდული ნაკრების მეტოქე ისრაელი იქნება

საქართველო-რუმინეთში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატის მეოთხედფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე ისრაელი იქნება.

ფლეი ოფში გასვლა ისრაელის 21 წლამდე ნაკრებმა არცთუ იოლ ჯგუფში – ინგლისთან, გერმანიასა და ჩეხეთთან ჭიდილში მოახერხა.

ბოლო ტურში ისრაელის ნაკრებმა ჩეხეთს 1:0 მოუგო, მანამდე გერმანიასთან (1:1) ფრედ ითამაშა და მხოლოდ ინგლისთან (0:2) დამარცხდა.

მთავარმა მწვრთნელმა გაი ლუზონმა მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ კომენტარი საქართველოსთან მომავალ დაპირისპირებაზე გააკეთა.

გაი ლუზონი:

– შესანიშნავი გრძნობაა, ჩვენ ისტორია დავწერეთ. რაც მთავარია, ვაჩვენეთ გამბედაობა, დიდი მოთმინება და მაღალი ხარისხი. ძალიან ვამაყობ, რომ ამ საოცარი გუნდის მწვრთნელი ვარ. ეს შედეგი ჩვენთვის დიდი მიღწევაა.

საქართველოს მატჩებს ვუყურე. დიდი ვნებით და სულისკვეთებით თამაშობენ. არავის სჯეროდა, რომ ნიდერლანდებთან, ბელგიასა და პორტუგალიასთან ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდოდნენ. ამ გუნდის მიმართ სრული პატივისცემა გვაქვს. ასევე მიხარია, რომ თამაშს 50 000 ან 60 000 ადამიანი დაესწრება. ეს მომწონს. მეტიც, ვისურვებდი, რომ სტადიონზე 100 000 გულშემატკივარიც იყოს! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ხოლო ნახევარფინალში საუკეთესო გუნდი გავა.

საქართველოსა და ისრაელის ნაკრებთა მეოთხედფინალური მატჩი 1 ივლისს, „დინამო არენაზე“ 20:00 საათზე გაიმართება.

სხვა ნახევარფინალური წყვილები ასეთია: ინგლისი-პორტუგალია (2 ივნისი, ქუთაისი); ესპანეთი-შვეიცარია (1 ივნისი, რუმინეთი), უკრაინა-საფრანგეთი (2 ივნისი, რუმინეთი).

მოჭიდავეთა მედლები ესპანეთიდან

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ კომპოსტელაში, 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე სრული შემადგენლობით – 10-კაციანი გუნდით იასპარეზა და 5 მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებიდან ჩემპიონები გახდნენ ანრი ხოზრევანიძე (60კგ), აჩიკო ბოლქვაძე (87) და გორ აივაზიანი (97).

აღსანიშნავია, რომ ბოლქვაძემ ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ მეორე ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდა ნიკა ბროლაძეს (67), ხოლო დათა ჩხაიძემ (82) ევროპის ჩემპიონატი ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლით გუნდური მეორე ადგილი დაიკავა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

დღეს სუპერთასი იწყება

დღეს სლავა მეტრეველის სახელობის საქართველოს სუპერთასის 2023 წლის გათამაშება დაიწყება.

ისტორიაში პირველად, საქართველოს სუპერთასის გათამაშებაში მონაწილეობას ევროთასებზე მონაწილე ოთხი გუნდი მიიღებს. მოქმედი ჩემპიონი თბილისის დინამო, დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი ქუთაისის ტორპედო და ეროვნული ლიგის 2022 წლის სეზონში მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები – ბათუმის დინამო და გორის დილა.

სუპერთასის ნახევარფინალში თბილისის დინამო მიხეილ მესხის სტადიონზე გორის დილას დაუხვდება, ხოლო ქუთაისის ტორპედო სამტრედიაში უმასპინძლებს ბათუმის დინამოს.

ნახევარფინალში გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან, ხოლო დამარცხებული გუნდები მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ. საქართველოს სუპერთასის ფინალური შეხვედრა და მესამე ადგილისთვის მატჩი 4 ივლისს გაიმართება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ასეთი ექსპერიმენტული სუპერთასი იმიტომ გათამაშდება, რომ გუნდებმა ევროტურნირების წინ ერთგვარი რეპეტიცია გაიარონ. მით უფრო, რომ გუნდები მომავალი ევროტურნირების წინ შევსებას იღებენ და ახალი ფეხბურთელები გუნდების ორგანიზმს შეეწყონ.

ახლა კი, თუ ვინ როგორ ხვდება სუპერთასს და ევროსეზონს:

თბილისის დინამო საქართველოს ნაკრების მეკარით გაძლიერდა – დედაქალაქურმა კლუბმა გიორგი ლორია დაიმატა. 37 წლის ლორიას ბოლო კლუბი კვიპროსული ანორთოსისი იყო, მაგრამ 31 მარტის შემდეგ არ უთამაშია, რის შემდეგ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება გაწყვიტეს.

დინამოელებს სუპერთასზე ვერ დაეხმარებიან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელები. ასეთები კი მრავლად არიან: ლუკა კუტალაძე, ალექსანდრე კალანდაძე, საბა ხვადაგიანი, ანრი მექვაბიშვილი, გიორგი მოისწრაფიშვილი, გაბრიელ სიგუა.

აქვე გეტყვით, რომ დინამოელებს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ ყაზახური ასტანა ერგო. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი პირველი მატჩს 12 ივლისს სტუმრად ითამაშებს, ხოლო 19 ივლისს დინამო არენაზე უმასპინძლებს.

დანაკლისი დილაშიც არის – გუნდის კაპიტანი ნიკა გაგნიძე ტრავმირებულია, რომელმაც დაზიანება სწორედ ახალგაზრდულ ევროპირველობაზე მიიღო. გუნდიდან წავიდა ბიძინა მახარობლიძე.

რაც შეეხება მომსვლელებს, საუბარია ქობულეთის შუქურას ლიდერებზე – მიშიკო სარდალიშვილსა და სამხრეთაფრიკელ ლეგიონერ ბანტუ მზვაკალიზე.

დილას მეტოქე ევროტურნირებზე სავალური დაწყებაა. ნაისკაია სტრედა იქნება. საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი გუნდი. ცხადია, ქართული კლუბების კვალობაზე.

პირველი მატჩი 13 ივლისს სლოვაკეთში გაიმართება, ხოლო 20 ივლისს გორი უმასპინძლებს.

გადავიდეთ ქუთაისის ტორპედოზე, რომელიც ფეხბურთელების დიდმა ჯგუფმა დატოვა. თუმცა, როგორც იქნა, ახლებიც გამოჩნდნენ.

არის სიახლე სამწვრთნელო შტაბშიც. კლუბის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის პოზიციას პორტუგალიელი ნილტონ ტეროსო დაიკავებს. პროლიცენზიის მქონე გამოცდილი მწვრთნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა კლუბში მუშაობდა.

კარიერის ძირითადი დრო ინგლისურ კარდიფში აქვს გატარებული, სადაც ფიზმომზადების მწვრთნელი გახლდათ. მთავარი მწვრთნელის რანგში კი პორტუგალიური ოლიანენშე ებარა.

სამტრედიაში გასამართ სუპერთასის ნახევარფინალურ შეხვედრაში, ტორპედოს განაცხადში, შესაძლოა, 3 ახალი ფეხბურთელი ვიხილოთ.

სავარაუდოდ, ბათუმელთა წინააღმდეგ სერბ ფილიპ კლიაიჩი, ავღანელი რაჰმატ აკბარი და კამერუნელი ეკონგოლო ნკუმბა ითამაშებენ. სამივე ფეხბურთელი გუნდთან ერთად იმყოფება და მათთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებულია.

როგორც კლუბის გვერდზე წერია, ამით სატრანსფერო პოლიტიკა არ სრულდება და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდება. თუმცა, მათ სუპერთასის შემდეგ ელოდებიან.

შეგახსენებთ, რომ ტორპედო კონფერენს ლიგაში ითამაშებს. მეტოქედ კი, ბოსნიური სარაევო ეყოლება. პირველი მატჩი 13 ივლისს ქუთაისში გაიმართება, სტუმრად კი 20 ივლისს ითამაშებენ.

ბათუმის დინამოდან წავიდა სანდრო ალთუნაშვილი, რომელიც კარიერას ავსტრიულ ვოლფსბერგერში გააგრძელებს. საუბარია ჯოვინო ფლამარიონისა და გიორგი კვერნაძეზეც. ორივე მათგანს უცხოური კლუბები იწვევენ, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერი თქმულა.

დინამოში გააგრძელებს კარიერას ცოტნე ფაცაცია, ვინაც სეზონის პირველი ნახევარი ქობულეთის შუქურაში გაატარა. ზღვისპირულ კლუბში ვარჯიშობენ ტორპედოდან წასული როინ კვასხვაძე და თელავის ორი ფეხბურთელი – ნახევარმცველი ნიკა ყიფიანი და ბრაზილიელი შემტევი ვიტინიო. მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას გია გეგუჩაძე მალე მიიღებს. შესაძლოა, მოედანზე დღესაც ვიხილოთ.

ბათუმის დინამოს კონფერენსლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ ალბანური ტირანა ერგო. მატჩები აქაც 13 და 20 ივლისს გაიმართება. ზღვისპირელები პირველ თამაშს სტუმრად გამართავენ.

ბორჯღალოსნები საფრანგეთისთვის ემზადებიან

საფრანგეთში გასამართი 2023 წლის მსოფლიო თასისთვის საქართველოს ნაკრები ერთი კვირაა „შევარდენზე“ ემზადა. გუნდის ხელმძღვანელობამ ქომაგებისთვის პირველი ღია ვარჯიში გამართა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი აღნიშნავს, რომ აქცენტი ყველა იმ კომპონენტზე კეთდება, რომლებიც სპორტის ამ სახეობისთვის არის საჭირო.

ლევან მაისაშვილი:

– პირველმა კვირამ ძალიან კარგად ჩაიარა. აქცენტი ყველა იმ კომპონენტზე კეთდება, რომელიც რაგბისთვის არის საჭირო. ესენია: ტექნიკური უნარები, ფიზიკური კონდიციები, გამძლეობა, ძალა, რაქი, მოლი, შერკინება და ა.შ.

ვარჯიშებში ყველა მოთამაშე 100%-ით არის ჩართული. გვყავს ლიმიტირებული მორაგბეები, რომელთაც თავიანთი დავალებები აქვთ და გეგმას მიყვებიან.

პირველი სავარჯიშო კვირით კმაყოფილია გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძეც:

– მოსამზადებელი ეტაპი ძალიან კარგადაა დაგეგმილი. მოედანი ფანტასტიურ მდგომარეობაშია, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. გუნდში ისეთი მუხტია, როგორიც მსოფლიო თასს შეესაბამება. ყველანი თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა მსოფლიო თასს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ, ისეთში, როგორშიც აქამდე არასდროს ვყოფილვართ.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კომპანიის ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ვაშლის ღვინო; 3. სუბტროპიკული, ეთერზეთოვანი მცენარე; 4. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 6. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 9. ხურდა ფული საქართველოში; 11. გერმანელი ელექტროტექნიკური კონცერნი; 15. ისრაელის პრემიერ-მინისტრი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 22. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 5. ერთ-ერთი რელიგია; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული თხა; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. უზადო ბრილიანტი; 18. გერმანული ავტომობილი; 20. ქერისა და შვრიისაგან დამზადებული უალკოჰოლო სასმელი; 23. დროის მონაკვეთი კრივში; 24. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 25. აჭარული ცეკვა; 26. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 27. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ემბარგო; 2. პუშკინი; 3. გიორგობა; 4. თემიდა; 5. თავთუხი; 8. ბანკეტი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 10. ჭყონდიდი; 17. ფერმერი; 19. იბერია; 20. დურუჯი.

თარაზულად: 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. ბარონი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ტრავოლტა; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ფუქსი; 23. ალგეთი; 24. ციციშვილი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტოშიბა; 2. ნიცშე; 3. სვინგი; 4. ალმაზა; 6. ბოქაული; 9. მზაღო; 11. ქებუია; 15. შეკვეთილი; 16. ჯავარი; 17. ხიზილალა; 19. იაგუარი; 21. თამშარა; 22. შუამთა.

თარაზულად: 5. მონოტიპი; 7. ოგინსკი; 8. ამქარი; 10. იზაბელა; 12. ზებრა; 13. ტრევი; 14. დუღაშვილი; 18. ჯრუჭი; 20. ჯალიტა; 23. დუკერი; 24. მომა; 25. მარულა; 26. თული; 27. პროექტი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

30 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6220

ევრო — 2.8727

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3326

100 რუსული რუბლი — 3.0596

ლევან ანჯაფარიძე: „ჩოქვით მოდით ჩემთან ბოდიშების სათქმელად“

ასე მიმართავს კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ყველას, ვინც მის წინაშე დამნაშავეა. რეჟისორი ეროვნულ კინოცენტრში მიმდინარე მოვლენებს ასე ეხმაურება:

– მინდა ყველამ იცოდეს და განსაკუთრებით კინოცენტრის კრიმინალი ხელმძღვანელების მიერ აჟიტირებულმა „სვისტოკიანმა“ ახალგაზრდებმა და ძველგაზრდებმაც – ეს მწარე მოგონება, რომელიც დღეს ამოვარდა მეხსიერებაში, ჩემს ცხოვრებაში ძალიან მტკივნეული რამაა.

მე გავუძელი, მაგრამ ვერ გაუძლო ჩემმა მეუღლემ, რომელმაც ამ უსამართლობის გამო, გული დაიავადა და დღეს აღარაა ცოცხალი.

ვაფრთხილებ „ლანებს, წითელთავა ნანებს და იავნანებს“ – პრეტენზიებით კი არა, ჩოქვით მოდით ჩემთან ბოდიშების სათქმელად. ჩოქვით! თქვენ ხართ კრიმინალები და წესით, თქვენ დასჯას მე უნდა ვითხოვდე! მივითხოვ კიდეც, თუ არ გაიყურსებით თქვე ნაგვებო, თქვენ! საბოლოოდ გაფრთხილებთ ცხვრის ტყავებში გადაცმულო აფთრებო – დედებს დაგატ...ავთ თავზე, ყველას, ვინც ამ სიბინძურეში მიიღეთ და ახლა იღებთ მონაწილეობას.

მე გამაჩნია ლელკას ხელით გამოტანილი ხუთიათასი (5.000) ფურცელი, თქვენი ბინძური მოღვაწეობისა ქართული კინოს წინააღმდეგ და კარგად იცით, რომ არ ვარ უკან დამხევი კაცი. მე არ გაპატიებთ ისეთი მეუღლის მოკვდინებას, როგორიც ლელა მაქაცარია იყო ლევან ანჯაფარიძისთვის!

ახლა უსტვინეთ სვისტოკებით, თქვე ბოზებო! არ გინდოდათ რძე და ყველი?!

პასუხს ვაგებ თითოეულ სიტყვაზე, გარეწრებო!

პ.ს. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი. ცუდად გავხდი, რომ გამახსენდა ამ ღორების პარპაში. მაპატიეთ გინებისათვის, მეგობრებო, მაგრამ ამათმა ისეთი რამის თხრა დაიწყეს, სადაც თვითონ ჩავაწვენ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კეიტ მიდლტონი პრინც უილიამის ნათესავი აღმოჩნდა

აღმოჩნდა, რომ კეიტ მიდლტონი თავისი მეუღლის, პრინც უილიამის შორეული ნათესავია.

გარკვეული დროის წინ ცნობილი გახდა, რომ უელსის პრინცესა კეტრინის წინაპრები ჩრდილოეთ ინგლისის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობდნენ. მათი მფლობელი იყო ბოუზ-ლაიონსის ოჯახი, რომლის წევრიც იყო განსვენებული დედა-დედოფალი, მეფე გეორგ IV-ის მეუღლე. გაირკვა, რომ პრინც უილიამის მეუღლე იმავე საგვარეულოდანაა, თუმცა ის ნაკლებად წარმატებულ განშტოებას ეკუთვნის, რომლის წევრებიც დროთა განმავლობაში მფლობელებიდან მაღაროელებად გადაიქცნენ. ამგვარად, კეიტ მიდლტონს და დედა-დედოფალს შეიძლება ნათესავები ვუწოდოთ, აქედან კი გამოდის, რომ მას სისხლით ნათესაობა აკავშირებს მეფე კარლოს III-თან.

XVI საუკუნის მიწათმფლობელ უილიამ ბლეკისტონს ეკუთვნოდა გლებსაიდის დიდი მამული. მის უფროს შვილს რალფს მემკვიდრეობით ერგო მამული, ხოლო უმცროს ძმას ნიკოლასს – რამდენიმე ქვანახშირის მაღარო. შემდგომში რალფის ერთ-ერთი შვილიშვილი სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალი გახდა, ხოლო ნიკოლასის შთამომავლები დროთა განმავლობაში გაღარიბდნენ, მოგვიანებით კი თავისი სტატუსიც დაკარგეს, მას შემდეგ, რაც გვარში მამრობითი სქესის შთამომავალი არ დარჩათ.

კეიტ მიდლტონი ნიკოლასის განშტოებას ეკუთვნის, ეს იმ დროს, როდესაც დედა-დედოფალი სერ რალფის შთამომავალია.

მძარცველმა გამვლელს საყურეები ჩამოგლიჯა და გადაყლაპა

ინდოეთის ქალაქ დელიში მძარცველმა დაკავების დროს გადაყლაპა საყურეები, რომელიც მან გამვლელს ჩამოგლიჯა. პოლიციის მონაცემებით, საღამოს საათებში ფულან დევი სახლში ბრუნდებოდა, როდესაც მას უცნობი ადამიანი მოტოციკლით მიუახლოვდა და ყურებიდან ოქროს საყურეები ჩამოგლიჯა, ასევე ხელიდან გამოგლიჯა ხელჩანთა და მიმალვას შეეცადა. ქალმა დახმარებისთვის გამვლელს მიმართა და მისი დახმარებით დაიკავა მძარცველი, რომელიც 34 წლის ნასირი აღმოჩნდა. დაკავების შემდეგ მამაკაცმა საყურეები გადაყლაპა. ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, რომ მძარცველი დაკავებულია და სათანადო სასჯელს მიიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ჩინელ მილიარდერს ეკითხებიან:

– როგორ ახერხებთ ასე ხარისხიანად საქვეყნოდ სახელგანთქმული ავტომობილების გაყალბებას?

– სულ ადვილად, ვიპარავთ ნახაზებს, ვაგზავნით ჯაშუშებს ფარული კამერებით, რომლებიც წარმოების მთელ პროცესს იღებენ და შემდეგ ყველაფერს ზუსტად ვიმეორებთ ჩვენს ქარხნებში.

– და რუსული ავტომობილების გაყალბება თუ გიცდიათ?

– ვცადეთ, მაგრამ ჩვენი მუშები მეორე ჭიქა არყის შემდეგ ითიშებიან.

●●●

ქმარს ცოლი ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– მანქანას რა უქენი?!

●●●

კაცი ქუჩაში ნაგვის ურნასთან ზის და ეწევა. მივიდა პოლიციელი და ეკითხება:

– აქ რას უზიხარ?

– ვეწევი.

– ეს ადგილი ნაგავისთვისაა.

– ოხ, მაპატიეთ! დაბრძანდით.

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ ჩემი ქმრის საბავშვო ბაღის დახასიათება ვიპოვნე და წავიკითხე.

– რა ეწერა?

– კარგად ჭამს, სძინავს, სეირნობს!

– მერე?

– მერე, იმის მერე 30 წელია გასული და არაფერი შეცვლილა...

●●●

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორს ერთ-ერთი შეგირდი ეკითხება:

– გადახტომის შემდეგ პარაშუტი თუ არ გაიხსნა, როგორ მოვიქცე?

– ხელები მაგრად იქნიე, ფრთებივით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ილუმინატორზე კაკუნია. ინსტრუქტორმა გაიხედა და ხედავს, შეგირდი ხელებს აქნევს და ეკითხება:

– ახლა რა ვქნა?

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი ისეთი გამხდარია, რომ ავტობუსში დაკეტილი კარიდან შედის.

– ჩემი ქმარი კი ხელებს ბოთლში იბანს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გათუმში ნუცა ბუზალაძის დაგეგმილი კონცერტი გაუქმდა

30 ივნისს ბათუმში ნუცა ბუზალაძის დაგეგმილი კონცერტი გაუქმდა. ეს ნუცას პირველი სოლო კონცერტი უნდა ყოფილიყო საქართველოში.

ნუცა ბუზალაძე:

– ჩემ მიმართ ბოლო დღეებში აგორებული კამპანიის გამო ვთვლი, რომ ქალაქ ბათუმის კლუბ „სფეროში“ 30 ივნისს დაგეგმილი კონცერტი აგვისტოსთვის გადავდო. გადაწყვეტილება კლუბის მენეჯმენტთან კონსულტაციების შემდეგ, ერთობლივად მივიღეთ. სოლო კონცერტამდე კი მივემგზავრები ამერიკაში. ტურნეს, რომელშიც მონაწილეობას ვიღებ, ჩემი მსმენელისთვის სასიამოვნო სიურპრიზად დავტოვებ.

რაც შეეხება ჩემ მიმართ აგორებულ აგრესიულ კამპანიას, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თავს ვალდებულად მივიჩნევ, კიდევ ერთხელ განვმარტო რუსეთში ჩასვლის მიზეზები, რომელიც გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა პირადი ინტერესებისა და ყალბი აჟიოტაჟისთვის გამოიყენეს. ჩემი ჩასვლა მოსკოვში უახლოესი მეგობრის დაბადების დღეს უკავშირდებოდა და არ ატარებდა კომერციულ ინტერესს. უამრავი შემოთავაზების მიუხედავად, მე უარი განვაცხადე რუსულ შოუბიზნესთან ნებისმიერი ტიპის კავშირზე. ვაფიქსირებ, რომ რუსეთი ოკუპანტია და სწორედ ამიტომ, ჩემთვის მიუღებელია რუსეთში დაგეგმილ კონცერტებში მონაწილეობა.

რაც შეეხება მეგობრულ ვიზიტს, თუ ჩემს გულშემატკივრებს გული დავწყვიტე მოსკოვში ჩემს ქართველ იუბილარ მეგობართან სტუმრობით, კიდევ ერთხელ გამოვხატავ წუხილს, თუმცა მივიჩნევ, რომ ჩემი მხრიდან მეგობრისადმი გამოხატული მხარდაჭერა არ უნდა იქცეს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. მე ვრჩები ჩემი ქვეყნის, ხალხისა და გულშემატკივრების ერთგული და ძალიან ვაფასებ თითოეული თქვენგანის სიყვარულს და თანადგომას. მიყვარხართ და სიურპრიზით დაგიბრუნდებით. კლუბი სფერო 1 ივლისს გაიხსნება. მსმენელის წინაშე კი ქართველი და უცხოელი ელექტრონული მუსიკის არტისტები წარდგებიან.

მიყვარხართ! და კიდევ ერთხელ, მადლობას გიხდით თქვენი მხარდაჭერისთვის.

დათა თავაძის დადგმული „კავკასიური ცარცის წრე“ გამარჯვებულია

რეჟისორ დათა თავაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც ბერტოლდ ბრეხტის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით განახორციელა, ლატვიის თეატრალური პრემიის 5 ნომინაციის გამარჯვებული გახდა.

სპექტაკლს პრიზები გადაეცა ნომინაციებში: საუკეთესო სპექტაკლი, მთავარი როლის შემსრულებლები, მეორე პლანის როლების შემსრულებლები, კოსტიუმების მხატვარი და რეჟისურა.

დათა თავაძე დიდი ხანია სპექტაკლებს საქართველოს ფარგლებს გარეთ დგამს და დიდი წარმატებითაც.

ნიკოლოზ წულუკიძეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდება მიენიჭა

თეატრმცოდნესა და წამყვანს ნიკოლოზ წულუკიძეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდება მიენიჭა. მან სადოქტორო დისერტაცია თავისუფალი თეატრის სპექტაკლებზე დაიცვა.

ავთანდილ ვარსიმაშვილი, რეჟისორი:

– ნიკოლოზ წულუკიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა დიდი ხანია ჩემთვის დოქტორიცაა და უფრო მეტიც, ორმაგად ვულოცავ მასაც და საკუთარ თავსაც, რადგან მისი სადოქტორო თემა „თავისუფალი თეატრი“ და ჩემი სპექტაკლებია. ნიკოლოზ, გილოცავ და მადლობა ამ თემის აღებისათვის.

კუშჩის ხიდი ადიდებულმა მდინარემ წაიღო

შუა საუკუნეებში აშენებული კუშჩის ხიდი, რომელიც წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშჩში მდებარეობს, ადიდებულმა მდინარე ქციამ ჩამოანგრია და წაიღო.

გოდერძი ნარიმანიშვილი, არქეოლოგი:

– შემატყობინეს, რომ გადაუღებელმა წვიმებმა წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშჩისთან მდებარე შუა საუკუნეებში აშენებული ხიდი მდინარე ქციამ დააქცია და წაიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი 2



შვეულად: 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. მეფის საჭმლის გამსინჯავ-შემმოწმებელი ძველად საქართველოში; 3. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 4. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი არქეოლოგი, მილიონერი, მეცენატი; 8. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ღატაკი ადამიანი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი; 13. ძვირფასი ლითონი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. პატარა თავებად შეკრული თეთრი ან ყვითელი ფერის ყვავილების მსხმოიარე მერქნიანი მცენარე; 20. სასიგნალო კოშკი ზღვის სანაპიროზე.

თარაზულად: 6. თამარ მეფის დედის სახელი; 7. მთიანეთი აზიაში; 8. ზომიერი. კლიმატური სარტყლის სახელწოდება აშშ-ში; 10. ქართული ძილისპირული; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. სასტუმრო თბილისში; 15. ფრანგი პოლიციელი; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 22. მტრედის ბარტყი; 23. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 24. ქართველი პიანისტი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა